



# ილორი



E-mail: roland.jalagania@mail.ru  
E-mail: r.jalagania@mail.ru


№409 (468) 4-18 ივლისი 2017 წ. სხვალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი  
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააქი შენიცა



**თენგიზ  
კუბლაშვილი:  
ქალაქი  
ევროპაშია?  
ისევე შენ  
რა გითხარი!** **ბ8.3**

**ანდრე დანელია:  
რუსეთში  
საუკუნის  
საჭურისები!** **ბ8.3**

**ჰაბლაბ ჭიკაშვილი:  
ეროვნული  
დღესასწაული?** **ბ8.5**



**ლუარა  
სორდია:  
მერაბ  
კოსტავას  
კოეზია** **ბ8.2**



**ჭიჭიკო  
ბაბრაშის ძე  
ბარამია 85  
წლისაა** **ბ8.6**

**ზურაბ  
კვარაცხელიას  
ბლოგი** **ბ8.6**



**გიორგი  
ჭალაღიძელი  
— 170** **ბ8.7**



**ლადო ჭირია:  
„მებრული ენა წარმოადგენს  
უნივერსალური სამყაროს  
უნივერსალურ მოდელს“** **ბ8.8**



**ლავრენტი  
ბერიძე —  
საბჭოთა  
კავშირის  
ცილდანამებული  
გმირი** **ბ8.4**

**ლადო ჭირია:  
დევნილთა ფართომასშტაბიანი  
შეკრება 15-წლიანი პაუზის შემდეგ  
და იბნორირებული სახელმწიფო ენა** **ბ8.6**



# მეჩაბ კოსტავას კოსტავას კოსტავას კოსტავას

## (მეჩაბ კოსტავას ესთეტიკური თვალსაწიერი)

მეჩაბ კოსტავა იყო არა მხოლოდ ეროვნული იდეალებისთვის ჯვარცმული "საღვთო ზვარაკი", არამედ საკაცობრიო მასშტაბებში მოაზროვნე შემოქმედი, დიდი ესთეტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. მის ფართო თვალსაწიერში მოქცეულია რელიგიის, ფილოსოფიის ყველაზე არსებითი, აქტუალური პრობლემები, მოვლენები განჭვრეტულია უზენაესი სამართლიანობის გადასახედოდა.

ამ "გაუკაცობის დიდი მოძღვრის" მსოფლმხედველობას ასახროვებდა უმაღლესი ხეობა, საღვთო ეთიკა, საღვთო სიბრძნე და საღვთო სიყვარული.

მეჩაბ კოსტავას მხატვრული სიტყვა აღჭურვილია რელიგიის, ღვთისმეტყველების ფუნქციით, პოეზია დასახულია, როგორც სულიწმინდის მადლი, პოეტის მისიაა რწმენის, ხეობის განმტკიცება, მიწის და ზეცის საიდუმლოებათა შეცნობა, ეროვნული და კოსმიური იდეალების დასმა-გადაწვევასთან, საერთაშორისო არენაზე საკუთარი ერის ადგილის ძიებასთან ერთად.

პოეტი არის "ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართმოდვარი", უმაღლესი მისანი.

მეჩაბ კოსტავას ყოვლისმომცველი ხედვა ერთმანეთისგან არასოდეს თიშავდა გრძობას და აზრს, გულს და გონებას.

პოეტის "გრძობის ცეცხლზე" მდებარე გონი სახელების მიღმა ილტვოდა, "გულკანის სიმძაფრით", "ეთერის პაერონებით" ხასიათდებოდა.

მეჩაბ კოსტავას აზრით, ლექსი არის "ადრული სასწაულითა, საღვთო ქორწილის მყარი" (ლექსი) (1,60-61).

სასწაული საღმრთო სახელია: "მოაგლინე სასწაული და საოცრებანი ჩვენს შორის" (ფს. 134/135,9) (2,669).

"სასწაული ადრული", ანუ უზენაესისგან ჩაგონებული მხატვრული სიტყვა სულის უკვდავების, სასუფეველისკენ სავალი გზით მიემართება, რადგან "საღვთო ქორწილი" არის სასუფეველი, სამოთხე, სულით სპეტაკთა სავანე...

"სამეფო ტიარით" მოხილი ლექსი არის "სიკვდილის ზიარი, შვეთში გადახანხედი", ანუ მიღმურში მჭვრეტელი, "უსაზღვრობიდან მოსული", "უსაზღვრობა" კი საღვთო სახელია (იოანე დამასკელი) (3,334).

ლექსი "დემონურ ტანგებთან", ეშმაკულთან შეჭიდებული უძვეველი ძალაა, "შემაღობის ხანძარი", ტანჯვა, რომელიც "მოითხოვს სულის გაღებას" (ლექსი) (1,60-61).

ჭეშმარიტი პოეტი სილაჟვარდში არწივივით ნავარდობს, ამასთან, ეამბორება მიწასაც (სულთ, დაიცა) (1,40-42).

საღმრთო სიტყვა სამყაროს საცნაურმყოფელია, იცის "სამყაროს ენა, დროჟამის ენა, ვარსკვლავთა ენა".

პოეტის მისიაა "შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი" (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

დიდი პოეზიის მახასიათებელია ზღვა, ოკეანე (შეხედრა) (1,56-58).

"აზრების რთველის" მოწვევას სჭირდება თვალი და გამორჩევა, რწმენა და ცოდნა: "რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა, ის რწმენას ძლიერს შარავანდელს ცოდნისას ადგამს" (ბიბლიური რემინისცენციები).

სრულყოფილი თვალი "ჭვრეტს მუშუბას ოქროს ტახტიანს" (სულთ დაიცა) (1,40-41).

ამასთან, წმინდა სულების მეგზურია "ხმა ზეციური" (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88), "უკვდავების ქნარის ხმა", "ანგელოზთა უწინარე ბავთი ნათქვამი ნანა" (თეთრი ქალწული) (1,45).

"გულთა სმენა" და "განსჯის წვდომა" უზენაესისგან ხელდასხმულთ მიემადლევათ: "ხილვას დაგანძავს თვალი მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არის სად მონა არი უზეშთაესის მფუტქავ მაჯისა" (სფინქსი) (1,76-77).

"ადმფრენის ფრთებს" შეისხამენ მხოლოდ "უკვდავების წყაროს" (დემრთის სახელია), ნახიარებნი (შენ გვევდრები სულით გლახაკი) (1,23).

მაღალთა და მაღლადმხედთა ხედვრია გაითავისონ "ზეციური გემეტრია", "ისტორია ცისა და მიწის", "მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა", "ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი".

პოეტი არის "მთარგმანბელი, წამკითხველი ვარსკვლავთ ენისა, ჩამბიბელები და ამხსნელი ყოველგვარ ნიშნის".

მთავარია "თვალთა ახელა, ახლად ხედვა, გონის თვალი" (ბიბლიური რემინისცენციები).

რეზიუმესავით ქდერს ყოველი დიდი შემოქმედისათვის აუცილებელი მოთხოვნა: "საქმეა იქვე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისტოთ, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას მძაღო ზურმუხტი და ამეთვისტო" (ტანჯვათა ტიტანი) (1,16-20).

მეჩაბ კოსტავა ეთაყვანებოდა დიად, ამადლეულ ადამიანებს, მარადიულ ფენომენებს, კაცობრიული აზრის გიგანტებს.

მის კუმირებში უპირველესი ადგილი ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს.

არავის შეუძლევია ასე ღრმად "არტიკული ყვავილები" ავტორის ურთულეს სამყაროში.

"ათასის... მხედველობა", "ასი ათასის პენა", "ათასის მზე ჰქონდა მიმადლებული სიტყვების მეფეს და პიპერბოლად არ უნდა მოგვეჩვენოს მისი გაბედული განაცხადი: "და ჟრუანტელით ისე, ვით ბავშვი, შენ საუკუნე გიცქერის შიშით"...

მეჩაბ კოსტავას, როგორც თვითონაც არსთაგანმრიგის რჩეულს, დაძლეული ჰქონდა პოეტური ტიტანის შიში, ის თავისუფლად ნავარდობდა გალაკტიონის პოეზიის ტალღებში და უდლომად ავუნებდა მის ფარულ, ჯვარც მუშუქნეველ დინებებს, ისე სიღრმისეულად განჭვრეტდა "ლურჯა ცხენების" ავტორის ენიგმური ლირიკის საიდუმლოებებს, რომ ამკარაა: ის ერთი იმთაგანია, ვინც ამ გენიოსის სკოლა ძირფესვიანად გაიარა.

ლექსში გალაკტიონი წარმონდებდა არა როგორც მიწიერ თავდალა მესობტე, პოეტური არტელის ერთ-ერთი წარმომადგენელი, არამედ როგორც სულიწმინდისგან ხელდასხმული რელიგიური პოეტი, ზეციური ცეცხლითა და საღვთო ნათელით შემოსილი "სიტყვის ნათლისმცემელი", რომელიც რწმენის, ეროვნულობის, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მსახურად მოაგლინა უზენაესმა (გალაკტიონი) (1,144).

პოეტების მეფის გამორჩეულობას განაპირობებდა მის შემოქმედებაში დაუნჯებული საღვთო სიბრძნე, "სიბრძნის ერთი დარგის" ერთგულება, რადგან სიბრძნე დემრთია: "წყარო სიბრძნისა - უფალი" (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (4,190).

"დემრთი - სიბრძნეა - ყოველთა შემოქმედი" (სიბრძნე სოლომონისა, 7,27) (5,24).

"სიბრძნე" მხოლოდ "უბიწო სულებს" განამზადებს ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად" (სიბრძნე სოლომონისა, 7,21) (5,24).

ახალ აღთქმაში გარჩეულია "მიწიერი, მშენიერი, ეშმაკული, სიბრძნე" და "მაღლიდან გარდმოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაცხო სიბრძნე" (იაკობ მოციქული, 4,15,17) (2,298).

პავლე მოციქული გმობდა "წუთისოფლის სიბრძნეს" და შეგვაგონებდა შეგვეცნო "ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული" (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,64) (2,358).

გალაკტიონი "ცრუ სიბრძნეს" უპირისპირებდა "უკვდავ აზრის ბჭეს" (უმშენიერეს კიბუხე) (6,471).

მეჩაბ კოსტავა მიმართავდა დიდ პოეტს: "მზეთა ორგია გბანგავდა ძველი, მთვარის მაგიას არც შენ მიპრიდე, ახალუხლებსაც დაახნი ხელი, სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაეწინდე, ვითარცა მოსემ აღმართე გველი, ანაზად ლურჯას მათრახი სწყვიტე, სასპარეზო უწვენე ვრცელი" (1,141).

"სიბრძნის ერთი დარგი" საღვთო, უზენაესი სიბრძნეა. "მზეთა ორგია" და "მთვარის მაგია" საღვთო შინაარსის სახეებია.

მზე საღვთო სახელია: "მზე და ფარია უფალი დემრთი" (ფს. 84,12) (2,612).

მთვარე უფლის მეტაფორაა სასულიერო სახისმეტყველებაში (7,124).

ლექსში ძალიან მიგნებულად არის ჩასმული ბიბლიური სპილენძის გველის ამბავი.

ბიბლიაში მოთხრობილია, რომ დემრთმა ურჩი ებრაელები დააგესლინა გველებს. ისრაელიანებმა ამის შემდეგ შეინანეს, აღიარეს დანაშაული, სთხოვეს თავიანთ წინამძღოლს მოსეს, რათა შევედრებოდა მათთვის დემრთს და ესხნა შხამიანი გველებისგან. დემრთმა აპატია ებრაელებს, მოსეს გააკეთებინა სპილენძის გველი და ჩამოაკიდებინა მაღალ ადგილზე. ქვეწარმავლებისგან დაკბენილი შეხედავდნენ ამ სპილენძის გველს, რომელიც შხამს ანეიტრალებდა და ასე ახერხებდნენ გადარჩენას (რიცხვ. 21,6-9) (5,157).

რა კავშირი აქვს ბიბლიის ამ ეპიზოდს გალაკტიონთან?

ხელისუფლება გალაკტიონს ავადღებულბდა საბჭოთა წყობილების საქებარი ლექსების წერას (რაც გადარჩენის ერთადერთი გზა იყო), შემდგომ "პრინციპული" კრიტიკა კი ვერ ჰპატიობდა ასეთ კომპრომისებს, მიზეზებს კი არავინ უდრმავედებოდა.

მეჩაბ კოსტავამ ამ საკითხს გამგები თვალთ შეხედა, ასეთი ნიმუშები კეისართა საკადრის "თადლით თვალად" მონათლა, რომელთაც სპილენძის გველის (ანუ თავის გადაარჩენის) ფუნქცია ეკისრებოდა, ზენაარისთვის მიძღვნილ შედეგებს კი "თვალი პარტიოსანი" უწოდა: "...თადლით თვალი წარცე კეისარს, ზენაარს - თვალი პარტიოსანი".

მართლაც, გალაკტიონმა შესძლო სატანური, გველური, შხამიანი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბიბლიურ მოსესავით აღმართა "სპილენძის გველი" (შეკვეთით დაწერილი სახობტო ლექსები), ვითომცდა "საბჭოთა სამოთხის" (სინამდვილეში "ჯოჯოხეთური სამოთხის"), ამსახველი ნიმუშები, სხვაგვარად გარდუვალი იყო პოეტის სიცოცხლის ხელყოფა.

მეჩაბ კოსტავას გალაკტიონის ლირიკის მთავარ განმასხვავებლად, საღვთო სიბრძნესთან, ერთად მიანია საღვთო სიყვარულის ერთგულება: "...ანაზად ლურჯას მათრახი სწყვიტე, სასპარეზო უწვენე ვრცელი, როცა გახედილი, მიღლე აიწვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმაღლ დასწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი" (1,145).

მართლაც, გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი პრობლემაა საღვთო ტრფობა, მისივე ტერმინებით, "ზექვენიური სიყვარული, მიზანი სიყვარული, სიყვარული უკანასკნელი, ტრფობა სრული".

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პლატონის "ნადიმი". პლატონი განასხვავებს მიწიერ და ციურ ეროსს. ერთიკულ მისტერიათა საწყისი სტადია პირველი საფეხურია, რის შემდეგაც იწყება "სულის მშვენიერების" უპირატესობის აღიარება, ზეციური მშვენიერების უკიდევანო ოკეანის ჭვრეტა, როცა "გაბრძნობილი" სული მიადგება... ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას... აბსოლუტური მშვენიერების შესახებ, როცა ხდება "მარადიული, ხელთუქმნელი, სულიერი მშვენიერების აღქმა", რომელიც წმინდაა, "მეურყენელი და მეურყენელია კაცის ხორცი" და არის "ერთსახვანი ღვთაებრივი მშვენიერება"... ანუ სიყვარულის უკანასკნელი, უმაღლესი საფეხური (8,17,60,63).

საღვთო სიყვარულის იდეა, "რელიგია სიყვარულისა", დახელები (საღვთო სიბრძნე) ცნობილა აღმოსავლურ სუფიზში (ჯალაღ-ედ-დინ რუმი, იბნ ელ არაბი) (9,17).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და "საყვარელს" - ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, "საყვარელი" და "სული" ერთდროულად (9,106-117).

"პირველი სიყვარული" ეწოდება დემრთს იოანეს გამოცხადებაში. ქრისტემ მიმართა ევესელთა ეკლესიას: "შენ დაივიწყე შენი

პირველი სიყვარული" (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

ახალი აღთქმის მიხედვით, "დემრთი სიყვარულია" (კათოლიკე ეპისტოლენი იოანესი, I,4,8).

მთავარია "რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია" (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13,12,3,4).

ზეიად გამსახურდია სუფისტურ ასპექტში კითხულობდა რუსთაველურ მიჯნურობას (10,10).

დანტემ სულიერ ზეცაში შეიცნო "სიყვარული სხვადასხვაგვარი". პოეტს იზიდავდა "სიყვარული პირველი, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი, სიყვარული მისწური" (11,328).

საღვთო სიყვარულის იდეა იკითხება რუსულ პოეზიაში (ელ. სოლოვიოვი, აღ. ბლოკი) (12,102,145,168).

გალაკტიონმა მართებულად ირწმუნა, რომ "უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ" (ანუ უდემრთოდ). ამასთან, "იმ საწყისებს, მიწიერს, ციურს" პოეტი "შემოქმედების ჟინით" ავსებდა (1,159).

მეჩაბ კოსტავას ლექსში "საღმრთო ტრფობა, სრულქმნილი სიყვარული" უძვეველი ძალაა: "ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგივდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში" (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88).

"ლურჯა ცხენების" ავტორი "სხვისთვის უხილავს ჭვრეტდა ეთერში" (1,154) - უხილავი დემრთის სახელია...

განსაკუთრებული ინტუიცია, გულისა და გონების ძალა გალაკტიონს ანიჭებდა მხოლოდ ერთგულთათვის დამახასიათებელ უნარს - წინასწარ ვერძო, წინასწარ განეჭვრეტა მოსალოდნელი მოვლენები: "...ინტუიცით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათგმრძნობი, პოეტის გული გულია მისნის".

პოეტის რელიგიურობის დასტურია ინტერესი გრაალისადმი, ძვირფასი თასისადმი: "...რამეთუ გვერფლავს, ვითარცა ალი, სიწვრელე გულთამხილავს თვალის, შეუღვევლობა მონსაღვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის" (1,148).

გრაალი არის სიმბოლო სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა და "გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი" (13,134).

გალაკტიონის ტრაგიზმი ასხნილია დემრთის უარყოფელი ეპოქის რწმენის გემების მსხვერვით: "როდემდე ზღვაში დამსხვრეულ გემის უიმედობის აფრა გემოსოს"...

დრამას განაპირობებდა "ღირსთა მამათა წმინდა სავანის მღუშარება", "ჭაობზე უნორტის სულის" მძლავრობა, რომელმაც ჯვარს აცვა უფალი, მაგრამ ეს ხელს ვერ უშლიდა პოეტს, ცაზე ისევ ეძებნა "ვარსკვლავი იგი ფიქრთა სავანი".

ვარსკვლავი საღმრთო სახელია. ქრისტე არის "ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი" (იოანეს გამოცხადება, 22,16).

მეჩაბ კოსტავას ხიბლავს გალაკტიონის განუშეორებელი ენიგმები: სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში, ივლისისფერი ყინვის თასები, ვარდისფერი და იისფერი თოვლის მშვენიერება.

ყურადღების სფეროში შემოდის "ჯვარცმული ელისი", "ცეცხლოვანი აზარფეშის" სახეები, რომლებიც მარამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ გვესახება "აღის თასის, სინარულის ჭიჭი" პარალელბად (14, 129-193).

გალაკტიონის იდუმალ სამყაროში შესახველი უმთავრესი კარია მისი განუშეორებელი, რელიგიური მსოფლმხედველობაზე მიმანიშნებელი სიმბოლოურ-მეტაფორული სახეები...

მართებულია მიძღვნილი ლექსში დიონისური და აპოლონური საწყისების დანახვა, ქვეცნობიერთან, დიონისესთან ერთად, აპოლონურის, კოსმიური პარმონის ძიება.

მეჩაბ კოსტავას დაკვირვებით, როგორც სოკრატეს, გოეთეს სამყაროში, გალაკტიონის შემოქმედებაშიც მძლავრობდა "დემონი სანაგელოზო" - სიმბოლო გენიალობისა და "მაცდური დემონი", ლუციფერი, როგორც ბორბტება.

ლუარა სორდია (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ქალა ევროპაშია? ისევე შენ რა გითხარი!



საქართველო ევროპისკენ კისრისტებით მიეკანება. რაღაც რეზოლუციის მიღებიდან მერვე რეზოლუციის მიღებამდე მანძილი მათ შორის კატასტროფულად მცირდება და სადაც არის, დღეს თუ ხვალ, საქართველო ევროპის შუაგულში მტკნორივით შეიჭრება დემოკრატიის აღმშენებელთა ზეადმართული დროში!

ორ ათეულ წელიწადზე მეტია ჩვენი მთავრობა ამ ფანტასმაგორიას გვაჯერებს, მირაჟს რეალობად გვაჩვენებს. და არა მხოლოდ მთავრობა, არამედ ათასი ჯურისა და ყაიდის პოლიტიკოსები, ექსპერტები, მრჩევლები, არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერები, ჟურნალისტები, ტელევიზორების ნარკვისი მოლაქებები, ყველაფერი პრესის მჯღაბნელები... ყველა, ვისაც კი კორიდას განწირული ხარისხით უცხოელი ტორეადორები მწვანე დოლარებს უფრიალებენ და ახელავენ!

ძალა ევროპაშია! – ხბოს აღტაცებით გაპყვირიან თვალდამდგარნი და ევროპას ამქვეყნიურ სამოთხედ წარმოაჩენენ.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა (1880-1936) მოსოფლიო შესხრა თავისი წიგნით „ევროპის დაისი“. კვდება დასავლეთი, კვდება ევროპის ფაუსტური კულტურა და მივა „დრო დისტოფესიკისეული კულტურისა, ანუ მართლმადიდებლური კულტურისა!“ წერდა გერმანელი ფილოსოფოსი.

გავა ას წელიწადზე ცოტა მეტი და ევროპაში დაისი კი არა, უკუნი დამე გაბატონდება! ევროპა სასიკვდილო ავონიაშია!

ვიცი, ჩვენი მისისიპალეულნი მიკიჟინებენ, ბრმა ხომ არა ხარ, რა დროს შპენგლერია, ნუთუ ვერა ხედავ როგორ განვითარდა დემოკრატია? ინდივიდის თავისუფლებამ უმადლეს დონეს მიაღწია, მოხდა სექსუალური რევოლუციები,

დაკანონდა ერთნაირსქესიანთა ქორწინება, საყვარელ ძაღლთან შეიძლება ეკლესიაში ჯვარი დაიწეროს, ნორტიუსში კი ანდერძით ქონება დაუტოვო! ქვეყნის პრეზიდენტობად, პრემიერებად, ქალაქის მერებად ირჩევენ პომოსექსუალებს, ბისექსუალებს, ლესბოსელებს, კონჩიტებს... რომლებსაც ადრე ჩამორჩენილი საზოგადოება სასტიკად დევნიდა და ჩაგრაფდა... ადამიანი გათავისუფლდა დრომოჭმული, მავნე ტრადიციებისგან, ანაქრონიზმად იქცა მამული, ენა სარწმუნოება, პატრიოტიზმი, ეროვნული ღირსება, სამშობლო, ოჯახი... მალე დადგება დრო, როცა პლანეტაზე იარსებებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო, ერთი მთავრობა, ერთი ფული, ერთი ეკლესია და ადამიანთა ახალი მოდგმა ერებისა და რასების გარეშე!

მისისიპალეულნი! რასაც თქვენ კაცობრიობის განვითარებას, პროგრესს ეძახით, სინამდვილეში მიძიმე ავადმყოფობის სიმპტომებია. ამ ავადმყოფის, უფრო მართლმადიდებელია თუ ვიტყვი, გარყვნილების განკურნებას დემერტი ორი ქალაქის სოდომისა და გომორის განადგურებით შეეცადა და ალბათ, ახლო მომავალში ახალ, უფრო ეფექტურ სახელმწიფოს შექმნის კი „ახალი მოდგმის“ წარმომადგენელი ადამიანი?

ამ კითხვას ასე პასუხობს ცნობილი ამერიკელი მასონი ბუქსინსკი, ახლახან დროელი სული უფალს რომ მიიბარა, თავის ნაშრომში „ტექნოკრატიული ერა“. მომავლის ადამიანი იქნება არსება, რომელიც ირჯება და იქცევა ისე, როგორც ადამიანი, მაგრამ სინამდვილეში ადამიანი არ არის. ჩვენი მთავარი მიზანია შექმნათ ისეთი არსება, რომელიც მორჩილად შეასრულებს ჩვენს ნებისმიერ ბრძანებას. ადამიანი უნდა იქცეს უსულო, მექანიკურ არსებად. ექსპერიმენტი წარმატებით ტარდება და შეიძლება ითქვას, მიზანი მიღწეულია.

ამავე დროს, ბუქსინსკი არ გამოიცილებს სერიოზული პრობლემების წარმოქმნას: „დაბოლოვდა, თუკი საუკუნის დასასრულს წარმოიდგენთ, მაშინ ადამიანთა ცნობიერების ბიოქიმიურ თუ გენეტიკურ მანიპულაციების შესაძლებლობამ და ამასთანავე შექმნა ისეთი არსებისა, რომლებიც არა მხოლოდ იმოქმედებენ, არამედ იმსჯელებენ ვითარცა ადამიანები, შეიძლება წარმოშვას სერიოზულ პრობლემათა რიგი“ (ციტირებულია ელიზაბეტ ჯაველიძის წიგნიდან „ავაშიშ, ჩემო მამულე!“ თბ., 2007 წ. გვ. 172).

აშშ-სა და ევროპაში შექმნილია და გულუხვად ფინანსდება ათეულობით კვლევითი ინსტიტუტები „ტრანსჰუმანიტისტიკური“, „ჰუმანის ინსტიტუტი“, „სოციალური კვლევის ინსტიტუტი“ და სხვა მრავალი, რომლებიც ნატოს

დაკვეთით მუშაობენ ტვინის გამორეცხვის, ცნობიერების შეცვლის, ადამიანის გარდასახვის, კლონირების და სხვა სატანისტურ პრობლემებზე.

დაბოლოს, ნატოს უზარმაზარი კომპიუტერი, რომლის კოდური ნომერია „666“ აკონტროლებს მილიონობით ადამიანს, ფლობს დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილის დონეს.

აი, ამგვარ დემოკრატიას გვთავაზობს ევროპა! აი, ამგვარ ევროპაში სურს ჩვენს ტვინგამორეცხვილ ხელისუფლებას მოიპოვოს სულის სიმშვიდე! ევროპის დაისი ევროპულ ფილოსოფოსებზე ადრე იგრძნეს რუსმა მოაზროვნეებმა.

გერცენი, რომელიც ევროპაში დიდხანს ცხოვრობდა, წერს: „საკმარისად დიდხანს შევისწავლიდი ჩვენ ევროპის ჭიანჭამ ორგანიზმს... ევროპა საშინელ კატასტროფას უახლოვდება... მე პირადად ვფიქრობდი და შიშით აღვივებდი მოახლოებული დამის წინაშე... მშვიდობით, მოსაკვდავო სამყაროვ, მშვიდობით ევროპა!“

დიდი მწერალი დოსტოვესკი კი ევროპას სასაფლაოს ადარებს: „მე ევროპაში გამგზავნება მსურს და ვიცი, რომ სასაფლაოზე მივემზადებ“.

პირველ და მერვე მსოფლიო ომებმა ევროპა მართლაც დიდი სასაფლაოდ გადააქცია.

სერბი არქიმადრიტი იუსტინე პოპოვიჩი თავის ნაშრომში „მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენიზმი“ წერს, რომ რადგან ევროპელებმა დემერტი მოკლეს (ნიცე, ჰამილტონი, ალტიცერი, პენე-მანი... თ.კ.), ცხოვრება სასაფლაოდ იქცა, სადაც ძლიერი კლავს სუსტს, მისთვის ყველაფერი ნებადართულია, ბოროტბაც, დანაშაულიც... „პირენებისგან დარჩა უსულოდ ადამიანი ნივით, აღარ არსებობს ღვთისმსგავსი ადამიანი, მისგან დარჩა მხოლოდ ნამსხვრევები ადამიანისა, მხოლოდ სხეულები იყვნენ... ევროპული კულტურა ახალ წარსულშიმავარ საზარელ მანქანად წარსდება ჩვენს წინაშე, რომელიც შთანთქმავს ადამიანებს და ნივთებად გადაამუშავებს მათ. და ფინალიც ამისა მიძიმე და ტრაგიკულია: ადამიანი უსულო საგნად ქცეულია უსულო საგნებს შორის“ (წიგნი „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“ ტ. V თბ., 1995 წ. გვ. 118).

კიდევ ერთი ევროპელი ფილოსოფოსი კარლ ოილო ასე აღწერს ევროპული სულის კრიზისს: „ჩვენ არა გვაქვს დიდი პოეზია, იმიტომ, რომ ჩვენი ფანტაზია, მოწყვეტილი კოსმიურ მთლიანს, მხოლოდ უმნიშვნელოს ეჭიდება, დიადს კი ისე ექცევა, როგორც გასართობ რასმე, და ეს იმის გამო ხდება, რომ ჩვენს პოეტებს უკვე აღარ აქვთ ის კოსმიური გრძნობა

კლასიკოსებისა, რომელიც მათ პოეზიას უმაღლეს ღვერადობას ანიჭებდა, მათ მხატვრულ სახეებს კი შინაგანი აუცილებლობით მსჭვალავდა... გვაქვს ოდენ გარეგნული მდიდრული ცხოვრება, ისე მდიდრული, როგორც არასდროს, ოღონდ სიმშვიდის გარეშე, შინაგანი პარმინის გარეშე, რადგან ამ ცხოვრებას აკლავს მისწრაფება მთლიანობისკენ, აბსოლუტურობისკენ, სამყაროსა და ადამიანის აზრის განსაზღვრებისკენ. აი, ასე გარდაიქმნება ფილოსოფიის კრიზისი – დროის კრიზისად“ (ციტირებულია წიგნიდან „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“ ტ. V თბ., 1995 წ. გვ. 117)

თანამედროვე ევროპელი ფილოსოფოსები სასოწარკვეთით მოსთქვამენ ადამიანის გაუცხოების შესახებ.

ძალა ასეთ ევროპაშია?

რამდენიმე წლის წინ ბელგრადი სასტიკად დაბომბეს, იუგოსლავია დააქუცმაცეს... მიმდინარეობს მართლმადიდებელი სერბების ჩაგვრა-შევიწროება... დღეს, ევროპის ქალაქებში ყოველ დღე ათეულობით უდანაშაულო ადამიანი იღუპება ტერორისტების მიერ მოწყობილი აფეთქებებით... დღეს, ევროპის ქვეყნებში საშინელია ქაოსია... მილიონობით ლტოლვილი მუსულმანი არაბები დღისით – მხისით ქუჩებში ქალებს აუპატიურებენ...

ბევრის მნახველნი ამბობენ: თუ ვიფიქროს კოშკი დაინახე, მხოლოდ მაშინ მიხვდები რომ პარიზში ხარ...

მწვანე დოლარებით გაუმადლო მისისიპალეულნი! ამგვარი ევროპა გვიშველის? მას თავის თავისთვის ვერ უშველია!

თუ ამგვარ ევროპაში მიგვიდეს, მაშინ ნატოელი ჯიგითები გვეტყვიან: კეთილი ინებეთ და ერთი მილიონი ლტოლვილი არაბი თქვენზე შეიფარეთ!

ეს ხომ იქნება საქართველოს დასასრული?

დასაწყისი კი უკვე დაწყებულია!

**P.S.** ევროპის ლანდგაში მგონი კალამი გამქცა. რა თქმა უნდა ევროპა ჩვენთვის მისაბამია. მაგალითად, 2000 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიაზე განიხილეს პომოსექსუალების და და გეეების მდგომარეობა. მიიღეს გადაწყვეტილება ციხეებიდან გაეთავისუფლებინათ ყველა ვინც 14 წელს ზემოთ ყმაწვილები გახრწნა. არის თუ არა ეს მუშაინიზმის და დემოკრატიის ზეიმი? გარდა ამისა, ცნობილი მომღერალი ელტორ ჯონი თავის პირმშენიერ მამაკაც მეუღლესთან ერთად თბილისს ეწვევა, გვესტუმრება კონცერტს და გაგვაბედნიერებენ: კონცერტს გამართავენ!

არის თუ არა ეს კულტურტრეგერობა? გიხაროდენ!

**თენგიზ კუპლაშვილი**

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით, საჭურისი არის მამაკაცი, რომელსაც სასქესო ჯირვებები აქვს ამოკვეთილი, ანუ, არის ნაკაცარი!

ამას წინათ, ისევე, როგორც ე.წ. ისტორიის პროფესორის (?) შეილისშვილმა, ნაპრეზიდენტობა და ამჟამად „მიმდგაში“ მყოფმა სააკაშვილმა განაცხადა: „თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“. პრემიერ-მინისტრად გამწესებულმა კვირიკაშვილმა ც დააბრუნება, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარიაო. მინდა ვკითხო, ასეთი უკიდვანო რომელი მერე გახდა მეგობარი ის ქვეყანა რომელსაც ჩვენი მიწების დიდი რაოდენობა მიტაცებული აქვს და ჩვენი ეკლესიები მუქუნებდად ქცეული? აბა, გადახედეთ ისტორიას, რომელ ქვეყნებს აქვთ ჩვენი მიწები მიტაცებული და, ნაციონალთა მტკიცებით რომელი ქვეყანა არის რუსეთის გარდა ოკუპანტი? არც ერთი!

რატომ? რუსეთის არ გეშინიათ და იმიტომ? სანტერესოა, თუ რუსეთმა გაიწია და მოგაღვა ტანკებით, რომელი თქვენი მეგობარი გადადებს თავს თქვენთვის? ხომ გადადო აშშ-მ თავი 2008 წლის აგვისტოში და გამოვიგზავნათ პამპერები ქვემ ჩაფსმულებსათვის (ბოდიშ ვიხდი) და წყალი გულწასულთა მოსახლეობებდა!

ქართველებს მრავალთავან ერთი შესანიშნავი გამოთქმა გვაქვს – „თერთსა და წითელ ღვინოსა, განა ყველასა სმა უნდა, პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა ყველასა თქმა უნდა!“ ამ ბედკრულ (ეხლა უკვე თქვენს ხელში, ქოცებო) საქართველოში ყველა ქვეყნის ელჩი როგორ შეიძლება იყოს თქვენი მრძანებელი?

თურქეთის ელჩს თურმე არ ესაიამონა ის ფაქტი, რომ ჩვენ ქართველებს გვინდა ვიხილოთ, ჩვენი დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის მიერ მოპოვებული დიდი გამარჯვება, „ძლევა საკვირველი“, თურქულჯუკთა ნახევარ მილიონიან კოალი-

ციურ არმიამ! და თანაც ეს ზეიმი გვინდა ჩავატაროთ ყველა საქმისაგან თავისუფლებმა, ანუ უქმე დღეს! აშშ-ს 30 კონგრესმენს დონალდ ტრამპისათვის მხარდამჭერი მიმართვა გავუზავინა და გაუფრთხილება, რომ ე მანე, ქართველებთან რამე არ შეგეშალოს, თორემ გვიწყენენ და უარს იტყვიან ჩვენთან „ნახუტებაზე“ და მერე უფარე კაკალი. ამასთან დაკავშირებით, რა „სიბრძნე“ გადმოაფრქვია (მერამდენად?) კვირიკაშვილმა – „ამერიკელი კონგრესმენების მხარდამჭერი მიმართვა მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო არის აშშ-ის მნიშვნელოვანი პარტნიორი (თუ მნიშვნელოვანი ვასალი)?“ ახრ იყო ეს გასული 25 წლის განმავლობაში და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ კიდევ უფრო მჭიდრო პარტნიორობა შექმნათ, რაც არის გარანტი საქართველოს სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბების პროცესში“. ისე ავიმენდათ ოჯახები, როგორც

## რუსეთის სანტერესო საუკუნის საჭურისები!

საქართველო აშენდა ამ 25 წლის მანძილზე და აწი აშენდება! თქვენ ხალხში უკვე გიწოდებენ „ქართულ-ამერიკულ ოცნებას!“ ისე, ნაცები რასაც აკეთებდნენ პოლიტიკასთან მიმართებაში, იმას დიად ამბობდნენ. თქვენ ერთს ფიქრობთ, მეროვს დაპარაკობთ, ხოლო მესამეს აკეთებთ! დღევანდელი ხელისუფლება ხართ ყველა ქვეყნის საელჩოს მიერ დასაჭურისებულნი და მათ დაკრულზე მროკენით თქვენ ოღონდ სავარძლები არ დაგათმობინონ და ყველაფერზე თანახმანი ხართ! ამიტომაც არის, რომ დღეს საქართველოში ქართველი ყველანაირად უფლებამოსილია! თქვენ იცავთ ყველა გათახსირებულნი და გარეყარის უფლებას, გარდა მართლმადიდებელი ქართველის! ისე დიდი უცნაური ხალხი შეიყარეთ ხელისუფლებაში. გინდათ სივარტის მოწვევა

აერძალოთ და ამ დროს აკანონებთ მარისუანის (ანუ ნარკოტიკის) მოწვევას! ქვეყანას პატრონი, რომ ჰყავდეს დღევანდელი ხელისუფლება ციხეში ხართ შესაყრელი, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისათვის! უფლის წყალობით არც ისე შორსაა ის დღე, როდესაც საქართველოში იქნება ეროვნული ხელისუფლება და აი მაშინ მართლა ეშველება საქართველოს! აბა რა შეიძლება ეწოდოს ყოველივე ამას? როგორც დიდი ვაკე ბრძანებს: „ედირსებაო ლუხუშსა დაშარის გორზე შადგომა!“

„ხელისუფალნი“, ხომ არ გავაუქმით ჩვენი ყველა ქრისტიანული თუ საერო დღესასწაულები, რათა ვასიამოვნო ჩვენს მტრებს და თქვენს მეგობრებს? ოღონდ თქვენ იყავით კარგად და ხალხი წყალსაც წაუღია (არ ავიღავთ გვერდები მანამდე)? ისე თუ შეისმენთ, სანამ დროა გონს მოუკეთ და ყველა ვიგინდარას ფეხქვეშ ნუ ვგებით საქართველოს კეთილდღეობის

ხარჯზე, თორემ ხალხის მოთმინების ფილა თუ აივსო, მერე ვერ გიმშველით თქვენი საზღვარგარეთელი პატრონები, თქვენ მეგობრებს რომ ეძახით (აბა საქართველოში თქვენ უკვე მეგობრები აღარ გვაყო, ვინაიდან თქვენი გამცემლური მოქმედებებით, უკვე მრავალი მტერი შეიძინეთ!) !!

მუდამ, საქართველოს კეთილდღეობისათვის უანგაროდ დამამტრადი და თქვენსავით სხვისი ხელის არ შემყურე, მართლმადიდებელი ქართველი, **ანზორ დანელია**

არის სამშობლოს დაღატი და სხვა არაფერი! ვინ მოგცათ უფლება, ასე განუითხოვოთ ურიტო საქართველოს მტრებს და „თქვენს“ მეგობრებს, ეს, ხელისხელსაგომანები, ქართული მიწა!

აგერ ახლა, თქვენი „ლოცვა-კურთხევით“, საქართველოს 10 კაცინა დღეგა-ცვას, თურქულ დღეგაგაცვასთან ერთად, თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე პოსოფითურგოზუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, 6 (ექვსი) პექტარი ქართული მიწა უფეშაშებით თქვენი მეგობარი თურქეთისათვის!!! რა გენაღვლებათ საქართველოს ქონება, არა? გამომდინარე აქედან, მივმართავ თხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურას, აღძრას სისხლის სამართლის საქმე კვირიკაშვილის და იმ სახელმწიფო ჩინოვნიკ-სუბიექტების მიმართ, დაწვეული 1992 წლის 7 მარტიდან დღემდე, ვისაც აქვს შესება ქართული საგანძურის – მიწის უცხო ტომელებისათვის ჩუქება-გაცემისა ნებისმიერი ფორმით, დეტალურად იქნას გამოძიებული ყველა წერილმანი და დამნაშავეები დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით, ქონების სრული კონფისკაციით! აგრეთვე, აღდგეს სს კოდექსში, დამნაშავის მიმართ ქონების კონფისკაცია! თემის კიდევ გაგრძელება: ბიძინა ბატონო, საინტერესოა, ხალხს თავი ისე როგორ უნდა შეაძლო, რომ უკვე გაზეით-თაც გაგინებდნენ დედას და კარგებს? აი ფაქტი – „ერთი, თქვენი დედაც... და, ერთი, თქვენი კარგებიც...“ გაზეითი „ლიტერატურული საქართველო“ №17. 5 მაისი, 2017 წელი. ეტყობა თქვენ არ იცით ის გამონათქვამი რომ, „სიყვარულსა და სიძულვილს შორის ერთი ნაბიჯია!“ ხედავთ, თქვენს მიერ რუდუნებით გაიმომუშავებულმა სიყვარულმა, რა უცებ გადალახა ის ერთ ნაბიჯიანი ზღვარი?!

# ლაპრინტი ბერია – საბჭოთა პავლიატი ცილდაწამებული ბერი



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ამრიგად, სწორედ ნიკოლოზ ვოვოი იყო ერთადერთი ესოდენ მაღალი დონის პარტიული მუშაკი (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი), რომელსაც საბჭოთა კავშირში ოფიციალურად წაუყენეს ბრალი “ანტისაბჭოთა პედერასტიაში”.

ასეთ რამეს ნამდვილად ვერავის დააბრალებ უსაფუძვლოდ. მაგრამ, ხომ აბრალებდნენ?!

1938 წლის 26 დეკემბერს ბერიამ ჩაწერა თავის დღიურში:

“სავსებით გასაგებია, რომ ხალხს მასიურად აპატიმრებდნენ. ახლა ასევე მასიურად უნდა განათავისუფლოთ ყველანი. დახვედრებულ სიცოცხლეს ვეღარ დავუბრუნებთ, არა და, სამწუხაროდ, მათ შორისაც ბევრია სრულიად უდანაშაულო...”

**1938 წლის 25 ნოემბერს, სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ლავრენტი პავლეს ძე ბერია დაინიშნა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად.**

სსრკ შინაგან საქმეთა ყოფილი მაღალჩინოსანი (სიტყვისათვის – სრულყოფილი კაცი) ისხებოდა, რომ როგორც კი ახალი სახალხო კომისარი მოვიდა, თითქმის ყველა თანამშრომელს იბარებდა კაბინეტში და ერთადერთ რამეს ეკითხებოდა: “თქვენი აზრით, ვინ იქცევა აქ ყველაზე არაადამიანურად?” ეს შეკითხვა, თავისთავად, მრავალ რამეზე მეტყველებდა.

1938 წლის 26 ნოემბერს, ლავრენტი ბერიას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად მისი დანიშნვის მთელი დღის გამოვიდა სახალხო კომისარატის ბრძანება №00762 “სსრკ სახალხო საბჭოს და სსრკ ცეკას 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილების მოთხოვნათა განხორციელების თაობაზე”. დადგენილება, რომელიც გამოიცა ბერიას ინიციატივით და რომლის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ მალენკოვი, ვიშინსკი და რიკოკი, ატარებდა კონკრეტულ სახელწოდებას – “დაპატიმრების, საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების ჩატარებაზე”. მან დაამუხრუჭა რეპრესიული მანქანა, რომელიც ქვეყანაში გააჩნდა პარტიულმა ბიუროკრატამ. შინაგან საქმეთა კატეგორიულად გამორიცხავდა ორავი ორავი.

**“სასწრაფოდ შეწყვეტე დაპატიმრებისა და გადასახლებათა მასობრივი ოპერაციები ყოველი სისხლის სამართლის საქმისადმი დიფერენციული მიდგომისა და თითოეული საქმის დეტალურად განხილვის გარეშე”.**

გასაგებია, რომ არავინ აპირებდა ციხისა და შორმა-გასწორებით კოლონიების კარების გაუხარებლად გახსნას და იმ პირ-წავარდნილი დანაშაულებებისა და ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების ქუნაში გამოყრას, რომელიც დაპატიმრებული იყვნენ არა სტალინის მათდამი სიძულვილის, არამედ კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულებათა გამო, რომელთა აღკვეთას შინაგან საქმეთა ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები ატარებდნენ საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებას ფასად. ხელისუფლების მაღალ ეშვებზე დაგვიწყობილი დანაშაულის ხალხში გახული მეტასტაზები, დივერსიული ჯგუფები

(ნამდვილი, და არა ისეთი, ომსკელ ბებიებს რომ ჰქონდათ ჩამოყალიბებული), რომლებიც ჩამოყალიბებული იყვნენ როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც ნამდვილად არ უწყობდნენ ხელს საბჭოთა კავშირის გაძლიერების საქმეს. ავაზაკებთან ერთად სასჯელს იხდიდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც და სახელმწიფო უნდა გარკვეულიყო თითოეული ადამიანის ბედში, რათა, უდანაშაულო ადამიანების კვლადაკვალ, “ნაბანაკები წყლისათვის ბავშვიც არ გაყოლებინათ”. “ბავშვი”, თავისი დანაშაულებრივი წარსულითა და ასევე დანაშაულებრივი მომავლით.

“ამბობენ, რომ ციფრები მართავენ სამყაროს. არა, ისინი მხოლოდ იმის დემონსტრირებას ახდენენ, თუ როგორ მართავენ სამყაროს”, – გოეთე.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ვ. ზემსკოვის მოკვავს შემდეგი ციფრები: “სულ, 1939 წელს, გულაგის სისტემიდან განთავისუფლდა 327.400 ადამიანი (223.600 განთავისუფლდა შრომა-გასწორებით ბანაკებიდან, 103.800 ადამიანი კი კოლონიებიდან), მაგრამ ეს ციფრი აშკარად შემცირებულია, რადგან მასში ვერ მოხვდნენ ვადაზე ადრე განთავისუფლებული და რეაბილიტირებული “ხალხის მტრები”. ცნობილია, რომ 1941 წლის 1 იანვარს კოლმიაზე იმყოფებოდა 34.000 განთავისუფლებული პატიმარი, მათ შორის 3.000 ადამიანი სრულიად იყო რეაბილიტირებული. 1939 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პატიმართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 1.672.000 ადამიანს. თუ მხედველობაში მივიღებთ ზემსკოვის მიერ დამოწმებულ ციფრებს, გამოდის, რომ “ბერიას ამნისტიით” ციხე-კოლონიები დატოვა დაახლოებით 150 ათასმა პატიმარმა. სხვა მკვლევარებს სხვადასხვა ციფრები მოჰყავთ, ბერია კი ამტკიცებენ, რომ იმ პერიოდში უმრავლესობამ საპატიმრო ადგილები დატოვა არა რეაბილიტაციით, არამედ პატიმრობის ვადის შეკვეცით. შედარებით გაუმართლად მათ, ვისაც 1938 წლამდე არ მიესაჯა და იმყოფებოდნენ წინასწარ პატიმრობაში. სპეცსამსახურების შემადგენელი ოლქები მოზოხინის მოკვავს კონკრეტული ციფრები ამ კატეგორიის პატიმრებზე. მაშ ასე, 1939 წლის 1 იანვრის მონაცემებით ირიცხებოდა ძიების ქვეშ მყოფი 149.426 ადამიანი, განთავისუფლდა ძიების მიერ 83.151 ადამიანი, პროკურატურის ან სასამართლოების მიერ გამართლდა 25.575 ადამიანი. ამრიგად, სულ 1939 წელს პატიმრობაში მყოფი 187.840 გასამართლებულიდან 1941 წლის პირველ ნახევარში განთავისუფლდა 142.432 ადამიანი.

ციფრები გვაფიხლებენ. თუმცა, შესწავლის შემდეგ მოგვიწევს ზოგიერთი ასპექტის თავიდან გააზრება.

შედარებისთვის ავიღოთ სსრკ-ში დაპატიმრებულითა რაოდენობა 30-იან წლებში და შევადაროთ ერთმანეთს რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემები. საბჭოთა კავშირში 1937 წლის რეპრესიების პიკის დროს გულაგში სულ იჯდა 1.200.000 ადამიანი. ე.ი. 100.000 ადამიანზე მოდიოდა 740 პატიმარი.

შეუდაროთ ეს მონაცემები 2006 წლის ამერიკისა და რუსეთის პატიმართა რაოდენობას. მოკვლევა ჩატარებულია ციხეების კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ.

დღეს აშშ-ში ყოველ 100.000 მცხოვრებზე მოდის სულ 738 პატიმარი, რუსეთში კი იგივე რაოდენობის ხალხზე მოდის სულ 611 პატიმარი. ამრიგად, “სამინელი სტალინური რეპრესიების” დროს რუსეთის ციხეებში იჯდა სულ 20 პროცენტით მეტი პატიმარი, ვიდრე დღევანდელი მშვიდობიან ეპოქაში, და ზუსტად იმდენივე პატიმარი, რამდენიც დღეს ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებს. რა თქმა უნდა, ვიდაცას აღაშფოთებს ეს არაადამიანური “სულ”. მართალია,

ყოველი ადამიანის სიცოცხლე და ბედი ფასდაუდებელია და ამ სიმდიდრეს რუდუნება და გაფრთხილება სჭირდება. ნამდვილად ასეა!

მაგრამ ზედმეტი არ იქნება, რომ მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების რეალიზებული შედეგად დღევანდელია. ოცდაათიან წლებში ჩვენი სამშობლო რის ვაი-ვაგლახით აღწევდა თავს პირველი მსოფლიო ომის, ორი რევოლუციის, სამოქალაქო ომის უმძიმეს შედეგებს, ჩატარდა მასშტაბური აგრარული და სამრეწველო რეფორმები, გავლილი იქნა ნმპ-ის ეტაპი, მოსახლეობის ხელში თავმოყრილი იყო დიდძალი იარაღი, რაც ხელს უწყობდა კრიმინალის ზრდას. დანაშაულები და შეიარაღებული პოლიტიკური ძალები არ ამქლავდნენ ახალი ცხოვრებისათვის ფეხის აწყოების სურვილს და კატეგორიულად ქვინააღმდეგობოდნენ ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო გარდაქმნებს. ამგვარ ურთულეს ვითარებაში, სტალინის ეპოქაში ციხეებში იჯდა ადამიანების ის რაოდენობა, დღეს რომ სხედან ამერიკის შეერთებული შტატების ციხეებში, სადაც არ არის არც ომი, არც სოციალური ძვრები. აქ ალბათ, მეტი დაფიქრება გვმართებს.

ბერიას ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის პოსტზე დანიშნვისთანავე გახლდათ 1939 წლის 1 იანვარს **საჩივრების მიღებისა და განხილვის ბიუროს შექმნა**. სწორედ ეს თარიღი უნდა მივიჩნიოთ შინაგან საქმეთა ხელმძღვანელობის მიერ აღძრული უამრავი სისხლის სამართლის საქმის გადახედვის თარიღად, ასევე იმ “ჩეკისტების გამოსავლენად”, რომლებიც გაყალბებული ჩვენებების საფუძველზე აპატიმრებდნენ უდანაშაულო ადამიანებს.

შინაგან საქმეთა ხელმძღვანელად დანიშნვისთანავე დაიწყო ბერიამ სისტემის მასიური წმენდა ევოკაციის კადრებისაგან. 1938 წლის ნოემბრის მიწურულიდან 1939 წლის დეკემბრამდე შინაგან საქმეთა უმაღლესი ხელმძღვანელობიდან განთავისუფლდა 7.372 ადამიანი (უწყებაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 22,9 პროცენტი). ხელმძღვანელობიდან კი დაითხოვეს 3.830 ადამიანი (საერთო შემადგენლობის 62 პროცენტი). მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ერთი კვირა იანვარ-თებერვლიდან: 1939 წლის 1 იანვარს ბერია ხელს აწერს შინაგან საქმეთა საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების მოსკოვ-კიევის რკინიგზის ხაზის 13 თანამშრომლის სასამართლოსათვის გადაცემას, დაუსაბუთებელი დაპატიმრებების ბრალდებით, 1939 წლის 3 თებერვალს ბერია ასევე გადასცემს სასამართლოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს ნ. სახარჩუკს დაპატიმრებისას დანაშაულებრივი მეთოდების გამოყენებისათვის, 5 თებერვალს ბერიას განკარგულებით დააპატიმრეს ბალტიისპირეთის ფლოტის განსაკუთრებული განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფი დაუსაბუთებელი დაპატიმრებისათვის. და ამგვარი პროცესები მიმდინარეობდა უწყვეტად, მთელი 1939 წლის მანძილზე. მაგრამ ამ ღონისძიებას მაინც ვერ დავარქმევთ მასობრივს.

“დიფერენცირებული მიდგომა...” – ჩაწერა ეს ფრაზა ბერიამ შინაგან საქმეთა ბრძანებაში. მაგრამ ვის უნდა უზრუნველყო საქმისადმი ამგვარი მიდგომა? 1938 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე (ბერიას შინაგან საქმეთა მოხელის კვლადაკვალ) დაპატიმრებული იქნა სსრკ შინაგან საქმეთა 332 თანამშრომელი, მათ შორის 140 ადამიანი იყო ცენტრალური აპარატის მუშაკი, 192 პერიფერიის თანამშრომელი და მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა 18 სახალხო კომისარი.

“მაგრამ ეს ციფრები ვერ გააოცებენ, როცა დაპატიმრებულითა ჩვენებებს გავცნობთ – ისინი გაუგებრობა გამოძიებულთა თვითნებობით, მორალური დეფორმაციითა და მთავარი პოლიტსამართველო-შინაგან საქმეთა კადრების გადა-

ვარებით”, – აღნიშნავს მკვლევარი სერგეი კრემლიოვი.

1933 წლის 13 აპრილს ლავრენტი პავლეს ძემ თავის დღიურში აღიარა: “ძალიან ცუდაა. საბოლოოდ ნათელია, რომ ნიკოლოზი (ევოვი – რედ.) მტერია”.

მაგრამ თუ ამ სიტყვებს ვენდობით, მაინც ძნელი ხდება გულაგის თუნდაც ერთი ბინადარის სიმართლის დამტკიცება, ვიდრე “ევოვის ხელთათმანებში” მოხვედრილი ათიათასობით უდანაშაულოზე საბრალდებო დასკვნის დაწერა.

1939 წლის 21 თებერვალს სტალინის სახელზე შევიდა სპეცშეტყობინება №676/ბ, რომელსაც ხელს აწერდნენ ლ. ბერია, ა. ვიშინსკი და ნ. რიკოკი.

“სკკპ (ბ), ამხანაგ სტალინს შინაგან საქმეთა პროკურატურის ორგანოების მიერ სსრკ სახალხო საბჭოს და სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილებათა შესრულების შემოწმების მიზნით “დაპატიმრებულების, გამოძიების წარმოების და საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ”, საგამოძიებო მუშაობის ხაზით 19 თებერვალს მოწვეული იქნა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრკ შინაგან საქმეთა საოლქო და სამხარეო უწყებებთან 26 ხელმძღვანელმა და პროკურატურის ცენტრალური და პერიფერიული უწყებების მრავალმა მუშაკმა.

თათბირზე დადგინდა, რომ იმ პერიოდისათვის სსრკ შინაგან საქმეთა ორგანოებში თავი მოიყარა დიდი რაოდენობით დაუმთავრებელი საგამოძიებო საქმეები, რაც არ იძლეოდა საშუალებას, რომ ორგანოებს უნაკლოდ განეხორციელებინათ სსრკ სახალხო საბჭოს და სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილებათა შესრულების პროცესები.

თათბირმა ასევე გამოაშკარადა გამოძიების პროცესებზე სუსტი საპროკურორო ზედამხედველობის ფაქტები, როგორც ცენტრში, ასევე პერიფერიებში.

**სუსტი საპროკურორო ზედამხედველობა განპირობებული იყო როგორც პოლიტიკური მოტივებით, ასევე საპროკურორო შემადგენლობის სუსტი საქმიანი მხარეების გამო, ასევე იმით, რომ სისტემას აშკარად არ ჰყოფინდა პირადი შემადგენლობა.**

სსრკ სახალხო საბჭოს და სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილება, რომელიც ავალბდა სკკპ (ბ) ცეკას, რომ დაემტკიცებინა ყველა პროკურორის კანდიდატურა შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობისათვის, არ იქნა შესრულებული.

განსაკუთრებით საგანგაშელია ის გარემოება, რომ პროკურორები არაჯეროდ მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა მიერ ჩატარებულ საგამოძიებო პროცესებში, დანაშაულებრივად აყოვნებდნენ საქმეთა შესრულების ვადებს და ზრუნავდნენ მხოლოდ იმაზე, რომ მართლდებოდა ყოფილიყვნენ მაშინაც კი, როცა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებს სწადიოდნენ.

სსრკ სახალხო საბჭოს და სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილება შინაგან საქმეთა განსაკუთრებული ბრძანებით შექმნილი სამუშაოების გაუქმების ნაწილში, ავალბდა სასამართლოებს (სამხედრო ტრიბუნალი, საოლქო და უმაღლესი სასამართლო, რკინიგზისა და სამდინარო ტრანსპორტის სახალხო სასამართლოები) მოემზადებინათ ნიდავი საქმეების წარმოებაში მისაღებად, რათა დროულად და სამართლიანად განხილულიყო შინაგან საქმეთა დადგენილი საქმეები. ამისათვის კი აუცილებელი გახლდათ სასამართლო სისტემის შევსება კვალიფიცირებული კადრებით, რაც ოუსტიციის სახალხო კომისარატის მიერ არ იქნა შესრულებული.

**თარგმანი როლანდ ჯალალნიასი, (გაგრძელება იქნება)**



# ეროვნული დღესასწაული?

26 მაისს საქართველომ მორიგი ეროვნული დღესასწაული იხეიმა, თუმცა სრულიად საქართველომ თუ საქართველოს ხელისუფლებამ? ჩემი აზრით, ამ უკანასკნელმა, ვინაიდან ქვეყანას სახეიმო არაფერი აქვს. ზემოთ მასწავლის არის, ხალხს რომ ეხეიმა და მიუხედავად რთული ეკონომიკური ვითარებისა, იმედის ნაპერწკალი უნათებს სულს. სამწუხაროდ, ასეთს ნამდვილად არ აქვს ადგილი. თუ კრიტიკულად განვიხილავთ ჩვენს ყოფას – არც ხვალისდელი დღეა სიკეთის მომასწავლებელი. სიკეთე, გარჯით, ხელისუფლების პროფესიონალიზმითა და გონიერებით მოიპოვება და არა ღოჭუნგური განცხადებებით, გაუმართლებელი თავდაჯერებულობით, ეგზოტ და მანქანათმშენებლობით „ოცნების“ ხელისუფლებისთვის.

დამოუკიდებლად არსებობის დაწყებიდან დღემდე ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობის მოპოვება და აქედან გამომდინარე თავისუფლება. დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, დაახლოებით იგივე ვითარებაა, რასაც 1991 წლის დეკემბრამდე ჰქონდა ადგილი – სსრკ-ს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა, სატელევიზიო გამოსვლაში რომ საბჭოთა რესპუბლიკებს გზა დაულოცა დამოუკიდებლად არსებობაში.

მანამდე გამსახურდას ხელისუფლებამ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და ამასთანავე, ვითომ დამოუკიდებლობა. მაგრამ ვერცინ დამარწმუნებს, რომ კრემლის სხვაგვარი, საწინააღმდეგო მიზნების შემთხვევაში, რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკა, მათ შორის ბალტიისპირეთის, ასე იოლად ეღიბებოდა საბჭოთა კავშირიდან გასვლა.

საბჭოთა კავშირის დაშლა დიდი გეოპოლიტიკური თამაში იყო – ლიბერალი საბჭოთა კომუნისტების მხრიდან წამოწყებული „პერესტროიკა“, „გლასნოსტი“, კორბანოვისეული სხვა მოწოდებები და სავალდებულო ცხოვრებისა და ღირებულებებისადმი ლოიალური დამოკიდებულების ამსახველი იყო, ამასთანავე თვალთმაქცობა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომელმაც 1991 წლის დეკემბრამდე ჩატარებული რეფერენდუმით დაადასტურა საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მტკიცე სურვილი.

რა გაეწოდა, მოხდა ის, რაც მოხდა, თუმცა გაცილებით უმჯობესი იყო ჩინეთისთვის მიბაძვა და მთავარი აქცენტი არა პოლიტიკურ ლაქლაქზე გადატანა – ზოგმა დემოკრატიად რომ აღიქვა, არამედ ჩავარდნილი ეკონომიკის ამოქაჩვა, საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესაბამისი მექანიზმის შექმნა, გარკვეული ვადის დანიშვნა – 3-5 წელი, უმტკივნეულო გაყრისთვის. სამწუხაროდ, ამას ადგილი არ ჰქონია და ნანატრი დამოუკიდებლობა ისე დაგვაცხრა თავს, როგორც აგვავებულ ველ-მინდორს შავი, სეტყვის მომასწავლებელი ღრუბელი.

საქართველოს ხელისუფლება – დამოუკიდებლად არსებობას დახარბებული, უმაღლესი თითქმის ყველა ეკონომიკურ-საფინანსო კავშირებს ყოფილ მშობთან და თავის გადასარჩენად დასავლეთისკენ – თურქეთის სახით, მიექანება. გულუბრყვილო ხელისუფალი, მათ შორის „გამოცდილ“ შეგარდნამცაც, ჰგონია, რომ დამოუკიდებელი და ევროპა-ამერიკისკენ 180 გრადუსით შებრუნებული საქართველო, დასავლეთისთვის ჩასახუტებული ქვეყანა იქნება. ის, ანუ დასავლეთი გვაჭმევს, გვახმევს, მოგვეფერება, დააფასებს ქართულ კულტურას, ისტორიას და „ღმერთის წილხვედრობას“, მილიონობით დოლარით ხელს გაგვიმართავს.

მასწავლის წარმოდგენა გვექონდა ამერიკა-ევროპაზე, რაც დღესაც შემორჩენილია ახალგაზრდებსა და გონდაკარგულ ზოგიერთ არახალგაზრდას შორის. საქართველოს პოლიტიკას, მათ შორის „გამოცდილ“ შეგარდნამცაც ეგონა, რომ ნატო თვით შემოგვთავაზებდა გაწევრებას – უმაღლესი დაუყოვნებლივ, ოღონდ ჩვენ ფიცით დაგველოც – შორს რუსეთიდან და ამ ფიცის დასამტკიცებლად გველანძღა გუშინდელი „დიდი მშა“ – დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად.

ყოველივე აღნიშნულიდან რაც შემოგვრჩა, რუსეთის გინებაა. ამ საქმეში ისე გავიწაფეთ, ტოლს არ გუდებთ უკრაინას. საქართველო ისევე დასავლეთისკენ მიდის, ხელისუფალთა უხვი დაპირებებით, ბრტყელ-ბრტყელი ღოჭუნგებით, ლაპარაკით და როგორც ვატიკო, ასეც ვატიკოდება კარგა ხნის განმავლობაში.

**„ჩვენ აუცილებლად მივადგვით იმას, რომ საქართველო გახდება ევროპული ოჯახის წევრი და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიზანი არის სწორედ ის, რისთვისაც ჩვენ ვდგამთ მნიშვნელოვან ნაბიჯებს“**, – ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი.

მთავრობის სხვა წევრები თავხედურად უმტკიცებენ საზოგადოებას, რომ რასაც ისინი აკეთებენ უადრესად მნიშვნელოვანი და წარმატების მომტანი. ოფიციალურ აზრს მხარის დაჭერა სჭირდება ექსპერტების, საზოგადოების მხრიდან – აი, ასეთი: **„პუტინის რუსეთის სისტემური სისუსტე, როგორც ჩანს, იმდენად მყარ მოცემულობაა, დღეს ქართული პოლიტიკის მხრიდან ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა ისტორიული განვითარების პარადიგმის შეცვლა და ისევე რუსულ ორბიტაზე დაბრუნება“** (დავით ავალიშვილი).

მწვინა ამ პირის დარწმუნება, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება სულაც არ ნიშნავს რუსეთის, აშშ-ს, ევროკავშირის ორბიტაზე ყოფნას. დამოუკიდებლობა – ყველას აზრის გათვალისწინებას ნიშნავს და შესაბამისი დასკვნების გამოტანას – ისეთის, საკუთარ ქვეყანას რომ არ დაამცირებს, ისე როგორც ეს არის ადგილობრივი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში გადაღებულ ფოტოსურათზე. ოღონდ საქართველოს ხელისუფლებამ რამე დადებითი გააკეთოს ქვეყნისთვის და არ დავექმებოთ – კვირიკაშვილი ტრამპის მაგიდასთან დასჯილ მოწაფესავით იდგება თუ გამარჯვებული რაინდით.

არავინ იცის ტრამპისა და კონგრესის გადაწყვეტილება ყოფილ ავტონომიებთან დაკავშირებით რამდენად შესრულდება. დასჯის თუ არა ტრამპი ფინანსურად იმ სახელმწიფოს, ვინც საქართველოს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობას აღიარებს?

ერთი წლის განმავლობაში ვაკვირდებით ტრამპს, მისი ჭკუა-გონების სლალომურობას, რაც სულაც არ გვისახავს იმის იმედს, რომ დღევანდელ ნათქვამს, ხვალ არ გადათქვამს. წინასწარჩვენო პერიოდში გაკეთებული განცხადებები, რომ სულ სხვა შინაარსისაა, ვიდრე დღევანდელი, მტკიცება არ სჭირდება. მხოლოდ ერთშია ტრამპი თანმიმდევრული – მომჭირნებოაში.

წინასწარჩვენო კამპანიის დროს ის ამბობდა, რომ დახმარებას შეუძირებდა საზღვარგარეთის ქვეყნებს, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. მომავალი წლის საბიუჯეტო კანონ-პროექტის მიხედვით საქართველო – ნაცვლად არსებული 80,605 მილიონი დოლარისა – 34,1 მილიონ დოლარს მიიღებს; სომხეთი – ნაცვლად 20,367 მილიონისა – 6,8 მილიონს; აზერბაიჯანი – 10,2 მილიონისა, 1 მილიონს. სხვა ქვეყნებს არ ჩამოეთვლი. რას ნიშნავს ეს, თუ არა პოსტსაბჭოთა სივრცისადმი ზედპირულ დამოკიდებულებას?

წინასწარჩვენო პერიოდში ტრამპი აცხადებდა, რომ ამერიკას არაფერი ესაქმება უკრაინაში, სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ხოლო ბალტიისპირა ქვეყნებზე ის აცხადებდა, რომ ავანტიურისტები არიან და მათ შეუძლიათ ამერიკა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირების გამოწვევა.

წინასწარჩვენო განცხადებების გაგრძელებად უნდა ჩავთვალოთ ტრამპის დეპიუტი ნატოს ახალ შტაბ-ბინაში – ბრიუსელში. იქ შეკრებილი ნატოს წევრი სახელმწიფოები დიდის იმედით ელოდნენ ტრამპის დამოკიდებულებას ნატოს წესდების მე-5 პუნქტისადმი – ყველა ერთი-სადმი, ერთი ყველასთვის. ამერიკის პრეზიდენტს სიტყვაც არ დაუძრავს ნატოს წევრი ქვეყნის წინააღმდეგ არაწევრი ქვეყნების მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში დაცავს თუ არა ამერიკა მათ.

არადა, რა გულის ფანჯკალით ელოდნენ ახალი ბატონის დამოკიდებულებას ამ

პუნქტისადმი. განსაკუთრებული მოლოდინი ჰქონდათ ბალტიისპირა ქვეყნებს და პოლონეთს – აშკარად ანტირუსულად განწყობილებს. ტრამპმა თავი შეიკავა. აი, რაც შეეხება საწევროების გადახდას – ტრამპი იყო მკაცრი. მან მოუწოდა ყველას გადაიხადონ საწევრო – ეროვნული შემოსავლის 2%. 28 წევრიდან 23 არ იხდის, საკუთარი თავდაცვისთვის, რაც ამერიკელი გადასახადების გადამხდელის აბუნად აგდებააო – თქვა მან. აშშ-ი იხდის ნატოს ხარჯების 70%. 23 ქვეყანა, მათ შორის გერმანიაც, თავს არიდებს გადახდას.

წინასწარჩვენო გამოსვლებაში ტრამპი ამბობდა – თუ არ გადაიხდიან, აშშ-ი დატოვებს ნატოს. რა იქნება არ გადახდის შემთხვევაში, მომავალი გვიჩვენებს.

ტრამპმა მოითხოვა ნატოს ჩართვა ტერორიზმთან ბრძოლაში, რაც ამ უზარმაზარი ორგანიზაციისთვის შეუძლებელია. ნატო – საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ იყო შექმნილი. მისი მრავალწლიანი მოქმედება სხვაგვარ პრინციპებს ექვემდებარება. ტერორიზმთან ბრძოლა სულ სხვა ცოდნას მოითხოვს, რაც ამ ეტაპზე ნატოსთვის განუხორციელებელია. გარდა ამისა ტერორიზმთან ბრძოლა მსხვერპლსაც მოითხოვს – ავღანეთში, ერაყში, სირიაში ანუ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას.

ბრიუსელი ფეხს ითრევს და არ სურს ამ საქმეში ჩართვა, ვინაიდან ვერც ერთი ნატოს წევრი ქვეყანის ხელისუფლება ვერ შეძლებს საკუთარი თავის დაცვას შინაგორბული კრიტიკიდან – თუნდაც ერთი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვიდან გამომდინარე. საქართველო და მისი ჯანი, ამიტომაცაა ნატოს შტაბ-ბინის მხრიდან ესოდენ საქმეობრივი სიტყვები საქართველოს მიმართ.

ნატოს სამიტი – უფრო საპატარძლოს ნახვას წააგავდა, ვიდრე საქმიან შეხვედრას, უფრო სწორად – ბოსის მიერ ხელქვეითობთან გასაზრებას და იმის ხაზგასმას, თუ ვინ არის ოჯახში უფროსი. საცოდავ შთაბეჭდილებას ტოვებდა 28 „დამოუკიდებელი“ ქვეყნის მეთაურის ბოსის თვალბრუნების ციციანი.

ბრიუსელის სამიტი და სიცილიის „დიდი შეიდეულის“ შეხვედრამ დაგვანახა, რომ აშშ-ი არის სუპერსახელმწიფო, მთის მწვერვალზე ასული, ხოლო დანარჩენი ქვეყნები სადღაც ქვევით არიან – მწვერვალზე მყოფთან მონურ მორჩილებაში. ამ რეალობას ვერაფრით ვუწოდებ თანაფარდობას, დემოკრატიას, თუნდაც თავისუფლებას. ექნებათ იმდენი „თანაფარდობა“, რამდენსაც აშშ-ი ისურვებს, თუ არ ისურვებ, არც არაფერი ექნებათ.

აი, ასეთი „დემოკრატიისკენ“ მიისწრაფვის საქართველოს ხელისუფლება – მოწვევებით, ზედპირულის, ტყუილი დემოკრატიისა და კეთილდღეობისკენ. ასეთ „დემოკრატიას“ ესატიროება სახალხო ზემოქმეტი, ისეთი, როგორიც „ოცნების“ ხელისუფლებამ ჩაატარა 26 მაისს, ისეთი, რომელსაც სააკაშვილი ატარებდა, მანამდე კი შეგარდნამც – დიდი ფულის ხარჯვით, ვიღაც ხელმრუდეთათვის ხელის გამართვით.

სტალინი 1945 წლის ფაშიზმზე გამარჯვების პარადი ერთხელ ჩაატარა. მას შემდეგ ის, არავის გახსენებია. მხოლოდ ბრეჟნევის დროს ადღა ეს ზემო. სტალინი მიიხედავდა, რომ ფაშიზმის შემოსევისგან დანგრეულ ათასობით ქალაქსა და სოფელს პარადით ვერ აღადგენდა. შრომა იყო საჭირო და თითოეული კაპიკის მიზნობრივი გამოყენება.

დღევანდელი საქართველო უდავოდ შორსაა „ზემოზისგან“. ხალხს შია, სწუწურია, სანაგვეში იქექება – ასეთ დროს რა აზიემებს. ზემო ხელისუფლებისთვის არის – აი, მათ უდავოდ ეხეიმათ და რახან ასე სურთ, უმჯობესი იქნებოდა სახეიმო შეკრების რომელიმე სტადიონზე გამართვა, კონცერტის იქვე მოწყობა და არა 26 მაისამდე 4 დღით ადრე ქალაქის ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვა, სცენის აღმართვა, მთელს ქალაქში ტრანსპორტის საცობების ხელოვნური შექმნა.

**ჰამლეტ ჰიპოთილი,**  
პოლიტოლოგი

## მაი, სირცხვილო!

*ქუთაისში, ქალაქის ცენტრში, სადაც ადრე სობორო იდგა და ღირსეული ქუთათურები განისვენებდნენ, წინაპართა ძეგლებზე „მაკლონადლი“ დააშენეს*

არვის გვეგონა, ბედი ისე გამრუდებოდა,

რომ აქ როდესმე „მაკლონადლი“ დაბუდდებოდა.

ნახეთ, ამ ბინძურ მილიონებს რა შესძლებია,

რა სრა-სახლე წამოჭიმა მკვდართა ძეგლებიდან?

– ვინ შეგვერია, ჩვენს დიდ გვარში ვის ვინ გვეყოლია? – სიმწრის ოფლი სდის, ვეღარ ხუმრობს ვაჟა ჭყონია.

ჩემო ქალაქო, არც მე მინდა შეგრეგინის გიცვირო;

ვაი, სირცხვილო, ქუთაისო, ვაი, სირცხვილო!

დადეშქელიანს მსურს ეღიბოს მკვდრეთით ადღგომა,

გაგარინით დაგვაგვიწყებს ყველა „მაკლონადლი“!

## სათრეველები, ისევ სათრეველები რაპირები და ღაპირებები

ხელავთ ცამდე ამაღლებულ ამ პიონებს,

– რძისფერ შუკით გაბრწყინებულ ღამიონებს?

დაძინებას მანამდე არ აპირებენ, ვიდრე დილა კარგად გაგვინაპირებდეს.

უკვე მჩხვლეტენ მზის სხივების რაპირები

და არ მჯერა აღარავის დაპირების!

## პირბასამტეხლო

დაკლების ნაცვლად გაგვიზარდა გადასახადი,

ჰოდა, ნახვამდის, სამუდამოდ ჩვენგან ნახვამდის

და მომავალში სიტყვა სხვამაც რომ არ გატეხოს,

შენი ქონებით გადიხადე პირგასამტეხლო!

## საპარლამენტო ბიტარა

ორი სიმია ერთი გიტარის პარტიულიც და მაჟორიტარიც,

ოპონენტს მაინც გულზე ესობა უმრავლესობის უმრავლესობა.

## მილიონების კეჭი

დაპირებებით და როშეთ, მოსული ცალი კალოშით,

დეპუტატებში მძრომელი რით გახდა მილიონერი?

რით და, ხალხმა ვერ აღაგმა, წუმზე და ლაფი გატობა

და თუმცა კაცად არ ვარგა, სხვა პეწს სძენს დეპუტატობა!

## ორი უსტარი

ყარამან ყარამანო,

ტლინკები ყარა მანო და ასე ხის ნაპროკრუსტალი

პოსტს ტოვებს მიხოს უსტარით.

\* \* \*

ყიამყრალბობით ნიადაგ რომ დაჭენობ იორღით,

ღედა და მამა გივარგა და შენ ვის გაგხარ, გიორგი?

ალექსანდრე შენგელია

# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

## მიმართვა საქართველოს ხელისუფლება- მთავრობას!

ხელისუფალნო!  
მოარული ხმებით ამ ბოლო დროს ანარქიაში (და, არა ანაკლიაში) კერძო მფლობელებისაგან დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს მიწების შესყიდვა. იმავე მოარული ხმებით იქ აშენდება საპორტო ქალაქი და იქვე შავი ზღვის აკვატორიაში განთავსდება აშშ-ს საზღვაო ფლოტი. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, მაშინ გამოდის, რომ თქვენი გაუგონარი მოლაპარაკებები პოლიტიკის გამოისობით სულ უფრო რეალური ხდება სავალალო აღბათობა იმისა, რომ სამეგრელოს რეგიონი და საერთოდ საქართველო გადაიქცეს აურაცხელი ბირთვული ქობინების, ასევე წარმოდგენილად დამანგრეველი ტექტონიკური იარაღის მფლობელი ზეხსავლმ-წიფოების დაპირისპირების პოლიგონად!..

ხელისუფალნო!  
გიცხადებთ პროტესტს და კატეგორიულად მოითხოვთ, რომ ყოველივე ზემოთთქმულთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა თქვენს მიერ სასწრაფოდ და ზუსტად იქნას ინფორმირებული!..

## პიღეზ ერთხელ ახლო წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე და ბაღარჩინა-არბაღარჩინის დილემაზე...

რაც დრო გადის მით უფრო ვრწმუნდები, რომ ამ ქვეყანას ქართველ ე. წ. ლიბერალ-ტეხზე და ულტრანაციონალისტებზე უფრო დიდი მტერი ნამდვილად არ ყავს! ესენი კოლხურ-იბერიული მენტალობისთვის უცხო, მიუღებელი უკიდურესობებით შეიძლება ითქვას, რომ ერთობლივად და მანაკალური დაქინებით დაღუპვისაკენ მიაქანებენ ქვეყანას! ნურავის ჰკონია, რომ მე ვაზივადებ... მიმოიხედეთ გარშემო, დააკვირდით და გაანალიზეთ პროცესები და აუცილებლად დაინახავთ, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი ერის უმრავლესობას ნამდვილად არ გააჩნია ზომიერების, ოქროს შუალედის, ოქროს კვეთის მნიშვნელობის და სასიცოცხლოდ აუცილებლობის განცდა! სამწუხაროდ, ჩვენი ერთი მოკლებულია სტრატეგიულად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად აზროვნების ესოდენ საჭირო,

ესოდენ აუცილებელ უნარს! დიას, ჩვენი ერთი სტრატეგიულად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად აზროვნების კუთხით შეიძლება ითქვას რომ არის ბურჯი! მართალია დიდია წნეხი! მართალია კორდონებს იქედან ტოტალური შემოტევა ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე! მართალია უაღრესად ძნელია გაუძლო გლობალიზმის ყოვლისწამდეკავ ცუნამს! მაგრამ, რაც უფრო მძლავრია ჩვენზე შემოტევა, მით უფრო ვალდებული ვართ მეტი ძალისხმევა გამოვაველინოთ ვადარჩენისათვის! ვალდებული ვართ იმ ყოვლისწამდეკავ ცუნამს დამცავი ჯებირები დაუხვედროთ! თუ ასე არ მოვიქცევით – ნამდვილად არაა შორს ის დრო, როცა უკვე ჩვენზე როგორც წარსულში არსებულ ხალხზე ილაპარაკებენ! სანამ კიდევ არსებობს თუნდაც მიხერული შანსი – დიდი და პატარა კარგად უნდა დაფიქრდეს ამაზე! განსაკუთრებული მისია ამ თვალსაზრისით აქსირია საზოგადოებრიობის იმ ფენას, რომელსაც ინტელიგენცია ეწოდება! რასაკვირველია უდიდესი და უმნიშვნელოვანესია მართლმადიდებლური ეკლესიის როლი! სამწუხაროდ, ერთი და მეორეც ასე მგონია, რომ ერისა და ქვეყნის გადარჩენისათვის გარჯაში მაინცდამაინც დიდად როდი გამოიჩნევიან! უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ მათმა სამარცხვინო და დანაშაულებრივმა დამოკიდებულებამ, ასევე, სხვადასხვა დროშიც და დღესაც გარკვეული პროცესების მიმართ ორივე ფენის არაადეკვატურმა პოზიციამ დიდწილად შეუწყო ხელი სამშობლოს გაპარტახებას! თუ ვინმეს ჩემი ეს სიტყვები სიმართლედ არ მოეჩვენება, ვურჩევ ასეთებს, რომ კარგად გაისვენონ 25-26 წლის წინ დაწვეული და განვითარებული პროცესები! სწორედ, იმ პერიოდში დაიწყო ქვეყნის გაპარტახება! სწორედ, იმ პერიოდში დაიწყო და დღემდე შეუქცევად ტენდენციად იქცა დენაციონალიზაცია, დეგრადაცია, დეზინტეგრაცია! ამ სავალალო მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის დიდი წილი სწორედ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და ქართულმა ინტელიგენციამ უნდა აიღონ საკუთარ თავზე! თუმცა, ახლა მეტს აღარ გავაგრძელებ ამაზე!..

მე თავიდან ე. წ. ლიბერალტებით და ულტრანაციონალისტებით დავიწყე... მსურს იმავე კონტექსტში გავაგრძელო და ვთქვა, რომ აუცილებელია დამდუგველი უკიდურესობებისაგან და სამარცხვინო ფობიებისაგან განვთავისუფლდეთ! ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს ნამდვილად არა აქვს

ეროვნული სიგიჟის თუ სიჭურჭის გამოვლინების უფლება! გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეაქციების თვალსაზრისით ურთულეს ეპოქაში ვიმყოფებით, ასე რომ ხამს ვიყო უაღრესად საღად, გონივრულად, პრაგმატულად მოაზროვნენი და დამაშვრალნი! მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ საკუთარი იდენტობის დასაცავად გზების და საშუალებების მოძიებას! როცა არსებობს „ცულისა და უარის“ დილემა, – კეთილი უნდა ვინებოთ და გავისარჯოთ ისე, როგორც ეს უმჯობესია, ანუ ავირჩიოთ ჩვენთვის ნაკლები ბორიტება! აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული გამოცდილება და ამ ეტაპზე პრიორიტეტად გავიხადოთ ერის ფიზიკურად და სულიერად კვდომის პროცესის შეჩერება! უნდა აღიკვეთოს ჩვენი სამშობლოს შემდგომი დეზინტეგრაციის ტენდენცია! უახლოეს მეზობლებთან და განსაკუთრებით ჩრდილოურ ზეხსავლმ-წიფოსთან დაგვიყაროთ ისეთი ურთიერთობა, რომელიც ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლისათვის იქნება სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი და სასარგებლოდ ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოვიშოროთ ბოდიით აზრები, რომ მოსკოვთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების გარეშე თითქოს შესაძლებელი იყოს სამშობლოს გაერთიანება! სამშობლოს გამთლიანების შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ იმავე მოსკოვთან ურთიერთკომპრომისების, ურთიერთშეთანხმების, ურთიერთინტერესების დაბალანსებით მოგვარდება ურთიერთობა! ეს ორივე ქვეყნისთვის არის საჭირო, მაგრამ უნდა გვესმოდას, უნდა შევიგნოთ, რომ ეს უწინარესად მაინც ჩვენთვისაა აუცილებელი და საშური! ნებისმიერ დროში თუ სიტუაციაში ჩვენ უნდა მოვიქცეთ ჩვენი სამშობლოს სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სასურველ შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ შევძლებთ გონივრულად და გარკვეულწილად სხვისი ინტერესების გათვალისწინებასაც! აი, ასეა და თუ მავანთ ამგვარი რიტორიკა მიუღებლად მოეჩვენებათ, რა გავეწოება, ჩემი სიტყვების სიმართლედ დარწმუნებისთვის მათ დიდხანს არც მოუწევთ ლოდინი! აი, უბედურება ისიცაა, რომ ეს ორივე დრო ჩვენზე ნამდვილად არ მუშაობს!..

ახე რომ, უფალმა ყველას გაგვინათოს გონება და შეგვეწიოს მამულის გადარჩენისათვის ჩვენსავე ძალისხმევაში!..  
თაში ნამდა, კურცხას კოლხ-იბერევი! კურცხას!..

ამ ფეის-სივრცეში ამგვარ რამეს წავაწყდი:

„საქართველოში ვის ვიზიტს ისურვებდით, ტრამპის თუ პუტინის“ – ეკითხება ერთი „ფრენდი“ „საფრენდეს“... „რად უნდა ამას კითხვა, რასაკვირველია ტრამპის“ – პასუხონენ „ბედნიერი“ ქართველები... ჰოდა, მეც ვფიქრობ, რომ ათასგზის და ასიათასგზის მართალი ვარ, როცა დაუინებულად ვკადაგებ, რომ ჩვენი ერთი სტრატეგიულად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად აზროვნების თვალსაზრისით არის ბურჯი! დიას, ასეა ეს! ბერწი! ბერწი! არადა, ღმერთო ჩემო, რა დიდი ჭკუა უნდა ახლა ამას, რომ ვიცოდეთ: ჩამოვა ის ტრამპი და ბუშვიით „შალახოს“ წაიცეკვებს... მერე შეიძლება გოგირდის აბანოსაც ეწვიოს... მერე ისიც შეიძლება რომელიმე სამოედლო სახლის ღამაზმანებიც გააბედნიეროს თავისი ყურადღებით... და, პრინციპში მორჩა! ამით მორჩება მისი ჯორჯიული ვოიაჟი!.. აი, კრემლის ბინადარის ვიზიტი კი, ღმერთმა ჰქნას და მართლაც გახდეს შესაძლებელი ჩვენს სამშობლოში! ნუთუ ძნელია მივხვდეთ იმას, რომ საქართველოს გამთლიანების გასაღები თეთრ სახლში კი არა კრემლის უმთავრეს კაბინეტშია ბოლოსდაბოლოს! რატომ, რატომ, რატომ არ შეუძლია ქართველ ადამიანს არსებული რეაქციების ადექვტურად გააზრება – ეს ნამდვილად არის გამოკვლეული! თქვენ ოჯახსაშენებულგებო! ხომ უნდა მოტივინოთ, რომ ვლადიმერ პუტინის საქართველოში ჩამოსვლას ლოგიკურად და შეუქცევად მოჰყვება ქვეყნის გამთლიანების პროცესის დაწყება! როგორ ვერ უნდა მიხვდეთ იმას, რომ ჩრდილოელი პრეზიდენტის თბილისში ვიზიტი ფაქტიურად ნიშნავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარების უდიდეს აღბათობას და შესაბამისად საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის გადარჩენასაც!..

ო, ღმერთო... ო, ზეციერო... გაუნათე, გაუნათე ამ ვიფრაცეებს გონება...  
ნუ გაგვიწირავ, შეგვიწილეთ, შეგვიწილეთ უფალო...

ზურაბ კვარაცხელია,  
ზუგდიდი

## ღვენილთა ფართომასშტაბიანი შიკრიბა 15-წლიანი კაუზის შემდეგ და იბნოკრიკებული სხელმწიფო ენა

რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში ენგურქადადკომბინატის კულტურის სასახლის წინ – მოედანზე აფხაზეთიდან დევნილები შეიკრიბნენ. ამდენი ერთად შეკრებილი (დაახლოებით 1500 ადამიანი) დევნილი 15 წელია არავის უნახავს. ამ შეკრების გარშემო მრავალი მითქმა-მოთქმა გაისმოდა მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დევნილებმა დიდი ხნის გასვლის შემდეგ პირველად გაახმოვანეს თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები. ეს შეკრება არამც და არამც არ იყო მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ, ამიტომაც დაგეგმილი იყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის და მთავრობის წევრების დასწრება, თუმცა ბოლო მომენტში მათ რატომღაც თავი შეიკავეს შეკრებაზე დასწრებისაგან.

ამ შეკრებაზე აღინიშნა რომ ამჟამად არსებული „სტატუს კვოს“ პირობებში უნდა გაუმჯობესდეს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები და პოლიტიკური უფლებები. დევნილებს აღუდგეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ფორმირებებში.

შეიქმნა აფხაზეთის საზოგადოებრივი დარბაზი რომელიც იქნება შუამავალი როგორც დევნილებსა და ხელისუფლებას შორის ანუ დევნილთა მოთხოვნების მიმტანი ხელისუფლებამდე.

შეკრებაზე გამოითქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში იკრძალება ქართული ენა, სკოლებში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რომ ქართული ენა, შეიძლება ითქვას, უარყოფილია არა მარტო ოკუპირებულ, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. აბა დააკვირდით შენობების ფასადებზე გაკრულ აბრებს, ე.წ. ბანერებს, რეკლამებს და ა.შ. მათზე უპირატესობა ქართულთან შედარებით ენიჭება ინგლისურ ენას, უფრო მეტიც ქართული წარწერა ბევრგან საერთოდ არ არის. ამაზე ამბობდა რამდენიმე წლის წინ დაწერილ თავის ერთ-ერთ ლექსში გამოჩენილი ქართველი პოეტი მუხრან მაჭავარიანი „სურთ იმნიარად საქართველო აქციონ ქვეყნად, ქართული, სადაც ძლივს ორდობს იქნება ენა“.

თუ ჩვენ გვინდა აფხაზეთისა და აფხაზეთის შემოერთება და შემორიგება უნდა გავითვალ-

ისწინოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად სახელმწიფო ენა აფხაზეთიც, ამიტომაც აუცილებელია არამარტო ქართული ენის, არამედ აფხაზეთის ენის დამცავი სტრუქტურის შექმნა. ნაცვლად ამისა, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს წინა მოწვევის პარლამენტის მიერ 2015 წლის ივლისში მიღებულ კანონს „სახელმწიფო ენის შესახებ“, რომლის თანახმადაც 2016 წლის თებერვლიდან საქართველოში უნდა შექმნილიყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. გავიდა წელიწადნახევარი და პარლამენტის დადგენილება შესრულებული არ არის. გაუგებარია რა მიზეზით, რა მოტივით არ გვარდება ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი იქნება ის ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც მალამოსავით მოეცება დახალგაზრდა განწირულ დედა ენას. 21-ე საუკუნეში მუდამ უნდა გვახსოვდეს მე-19-ე და მე-20-ე საუკუნეების დიდი ქართველი პოეტების გრივოდ ორბედიანისა და ანა კალანდაძის შეგონებანი „რა ენა წახდეს, ერც დაეცეს, წარცხოს ჩირქი ტაპარსა წმინდას“ და „დედა ენას ცეცხლზე შემოდგმულ რქესავით სჭირდება თვალურის დევნება“.

ლადო ძირია,  
ზუგდიდი

## ჭიჭიკო ბაგრაძის ძე ბარამია 85 წლისაა

ბატონი ჭიჭიკო ბარამია ძირძველი ოჩამჩირელია. ის დაიბადა 1932 წლის 29 ივნისს ქალაქ ოჩამჩირეში. 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა ოჩამჩირეს მეორე საშუალო რუსული სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა სარატოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს. იმავე წელს ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ის მუშაობას იწყებს საკაშპორო მნიშვნელობის სამშენებლო ორგანიზაცია „ტეკვარჩელ-ქვანახშირში“. 1959 წელს ჭიჭიკო ბარამია სამუშაოდ გადაეცა ქალაქ გავრასში, სადაც ტრესტ „ქართული ქვანახშირის“ თანამშრომლობისათვის ამთავრებს სანატორიუმის მშენებლობას. 1961 წელს ის უბრუნდება თავის მშობლიურ და საყვარელ ოჩამჩირეს, სადაც მუშაობას იწყებს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციაში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 1961 წელს ჭიჭიკო ბარამია გადაეყვანილი იქნა ქალაქ ოჩამჩირის მთავარი არქიტექტორის თანამდებობაზე. 1963 წელს ის დაინიშნა უმომხმარებლობაში მყოფ „საქოლხმშენის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელად. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია ორ-სამ წელიწადში უკვე მოწინავე პოზიციებს იკავებს მთელი საქართველოს მასშტაბით და ეს უდაოდ იყო ბატონი ჭიჭიკო ბარამიას დიდი დამსახურება. წლების შემდეგ, 1980 წელს ჭიჭიკო ბარამია სამუშაოდ გადაეცა ოჩამჩირის აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მშენებლობის დარგში. ამავდროულად ის მუშაობს ქალაქისა და რაიონის მთავარი არქიტექტორის თანამდებობაზე. ამ უკანასკნელ თანამდებობაზე ის რჩება 1993 წლამდე, ანუ დევნილობამდე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჭიჭიკო ბაგრაძის ძე ბარამიას დიდი დავალი მიუძღვის ქალაქ ოჩამჩირის, ოჩამჩირის რაიონის და საერთოდ აფხაზეთის აღორძინებაში.

ბატონი ჭიჭიკო ზუგდიდშიც განაგრძობს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას და ოჩამჩირედ დევნილთა მიერ საერთო კრებაზე მას ირჩევენ საზოგადოება „ოჩამჩირის“ თავმჯდომარედ. ხუთი წლის მუშაობის შემდეგ ის გადის დამსახურებულ პენსიაზე. 2017 წლის 6 მაისს ქალაქ თბილისში გაიმართა ყოველთა ოჩამჩირელთა შეკრება, სადაც 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით და დამსახურებისათვის ბატონი ჭიჭიკო ბაგრაძის ძე ბარამია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ დაჯილდოვდა საპატიო სივლით. ბატონმა ჭიჭიკომ თავის დროზე შექმნა მშვენიერი ოჯახი. მისი მეუღლე, აწვარდაცვლილი ქალბატონი ლეილა იპოლიტეს ასული ჯოჯუა მრავალი წლის მანძილზე გახლდათ ოჩამჩირის ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი. ყავს ორი შვილი. ვულოცავთ!



# გიორგი ჭალადიელი — 170



ამ დღეებში გიორგი ჭალადიელის მშობლიურ სოფელში ჩატარდა პოეტის იუბილე მისი დაბადებიდან 170 წლისადმი მიძღვნილი. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამეგრელოსა და სენაკის რაიონის კულტურის, საზოგადოებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

იაკობ გოგებაშვილმა 1876 წელს ენციკლოპედიური ხასიათის წიგნში „ბუნების კარი“ შეიტანა გიორგი ჭალადიელის ლექსი „დედის დარიგება“:

მახსოვს, პირველად სასწავლებელში, წასაყვანად რომ მომამზადეს, მაშინ ანბანი მე მომცეს ხელში და შორსა გზასა მე გამამგზავრეს.

ეს იყო შემოკლებული ვარიანტი გიორგი ჭალადიელის ლექსისა „მოგონება“, რომელიც 1869 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ და იქედან იმავე წელს გადაიბეჭდა „სასოფლო გაზეთში“.

ამ ლექსმა სახელი გაუთქვა გიორგი ჭალადიელს. იგი აღიარეს როგორც შედევრი დიდაქტიკური პოეზიისა. მართალია, ლექსი, ერთი შეხედვით, სწავლისაკენ მოწოდებაა, მაგრამ მხოლოდ დიდაქტიკას არ განუპირობებია მისი პოპულარობა (იგი დღემდე ისწავლება სკოლებში). ლექსში გამოიხატა არა მარტო სწრაფვა განათლებულობისაკენ, არამედ სწრაფვა ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით სულიერი განახლებისა. გამოიხატა უშუალოდ, ყველასთვის მისაწვდომად, სადად.

ასევე პოპულარულია გიორგი ჭალადიელის ლექსი „ფაცხა“, რომელიც პირველად 1870 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ და მაშინვე მიეცა გზა, სიმღერად

იქცა. მას მოყვა არა ერთი ქმნილება, „ციცინათელა“, „ჩემს ანას“ და სხვა, რომელმაც იგი აქცია სახელოვან შემოქმედად

გიორგი ქონაქიძე (ჭალადიელი) დაიბადა 1847 წლის 27 ივნისს. მამა მაქსიმე ქონაქიძე სამეგრელოს გავლენიანი თავადი იყო. სოფელ ჭალადიელის მემამულე. იგი დადიანის კარზე საკმაოდ პატივით სარგებლობდა, გამოირჩეოდა განიერებით, ფრანგული ენის ცოდნითა და საზრიანობით. სწორედ ამიტომ სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა თბილისს მიავლინა საკუთარ წარმომადგენლად და სერიოზულ საქმეებს ანდობდა.

მაქსიმე ქონაქიძე მარტვილის მდივანბეგი იყო, შემდეგ სენაკის მაზრის კომისარი, საბოლოოდ სოფელ ჭალადიდს დაუბრუნდა და ხე-ტყის წარმოებას მიჰყო ხელი.

გიორგი წარმოსადეკი, მარჯვე და სიცოცხლით სავსე კარგი მოსიძღვრე ყოფილა. პუერებისა ბურთაობა.

გავლენიანმა მამამ ინდომა შეიღისთვის თბილისში მიეცა განათლება, მაგრამ მაშინ სამეგრელოდან დედაქალაქში, და საერთოდ სხვაგან, ცოდნის მისაღებად წასვლა, დადიანის კარის ნებართვის გარეშე, შეუძლებელი იყო. ცნობილია მხოლოდ რამდენიმე პირი, ვისაც ერგო ამ მხრივ მთავრის წყალობა. გიორგის მამამ შეძლო ნებართვის მიღება, საბუთებიც გაიგზავნა დედაქალაქში, მაგრამ იქიდან ნებართვა აღარ მოვიდა. გადაწყვედა, გიორგი ქუთაისის „კეთილშობილთა პანსიონატში“ მიებარებინათ. იქ სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ალბათ ამიტომაც დედს ათქმევინებს პოეტი: „მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო, არ დაივიწყო სამშობლო ენა“.

1870 წელს, როცა გიორგი ჭალადიელი პეტერბურგს გაემგზავრა იმ მიზნით, რომ საინჟინრო განათლება მიეღო, უკვე ცნობილი პოეტი იყო. სამწუხაროდ, სურვილის საწინააღმდეგოდ, დაბადების მოწოდების უქონლობის გამო საინჟინრო ინსტიტუტში საბუთები არ მიიღეს და იგი სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე ხდება.

პოეზიაში კი თავიდან ბედი სწავლობდა. იონა მეუნარგია იგონებს „თბილისის სემინარიაში არავინ იყო მოსწავლე, ზეპირად არ სცოდნოდა ჭალადიელის ლექსი „ქალაქელი ბიჭი ვარ, საყვარელი მეცა მყავს“.

პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი წერს: „ჭალადიელის დებიუტი იშვიათი წარ-

მატებით ჩატარდა, მასში ხედავდნენ ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის ღირსეულ მემკვიდრეს“.

მერე კი პოეტი აღმოჩნდა სამშობლოდან შორს, უცხო ადამიანთა გარემოცვაში. თუმცა ისევ წერდა. შექმნა არ ერთი მშვენიერი ლექსი, „საზარდული“, „სიმღერა გარდახვეწილისა“, „დილა ფინლანდიაში“, „კურძის კრეფა“, „მოლაღური გალიაში“, „გორდის მთაზე“, „უძღვნი ჩემს იანგულას“ და სხვანი. მაგრამ აქტიური შემოქმედებისათვის ვერ მოიხატა, მით უფრო, რომ 1873 წელს მიიღო პოდპორუჩიკის წოდება და ჩაება სამხედრო სამსახურში, რაც დიდ ენერჯიასა და შრომას მოითხოვდა.

პეტერბურგიდან დროდადრო თბილისსა და ქუთაისში „ცივი-ცივი“ ამბებს აწვდიდა ჟურნალ-გაზეთებს. იგი სხვა ცას ვერ ეთვისებოდა, სხვა მიწას ვერ ეყვებოდა. სამსახურებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმულს ოცნებების ფრთების შესხმის საშუალება აღარ ჰქონდა, მისი მუხა დუმდა.

თმის დამავერების შემდეგ კვლავ აწინაურებენ და 1878-87 წლების განმავლობაში გიორგი ქონაქიძე უკვე პოდპოლკოვნიკის სამხედრო ჩინოსანი ხდება, 1891 წელს კი პოლკოვნიკი. ზედისუფლებს წმინდა ანას მცირე და ვლადიმერის მცირე ხარისხის ორდენებს.

ცხადია, პოეზიისათვის ვერა და ვერ იცვლის, რის გამოც დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი ამბობს: „ჭალადიელმა თავისი ნიჭი ზარბაზნების კვამლში გაახვია“.

სამშობლოდან მოწყვეტილს და მოუცვლელს მამულზე, თანამომეგობრებზე, მათ ჭირ-ვარამზე ფიქრი არასდროს განელება. მისი აზრები და სურვილები კანტიკუნტად დაწერილმა ლექსებმა და არქივებში დაცულმა ბარათებმა შემოგვინახეს. იგი თავის თავს გადახვეწილსა და მამულისათვის დაკარგულს უწოდებს:

1887 წელს გიორგი ჭალადიელი ჩამოღის საქართველოში. ათზე მეტი წლის შემდეგ ჩამოსვლის მიზეზი გახდა თედო სახოკიას მოწვევა, ლექსთა კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით. მშობლიურ ჭალადიდში მისული წერს რამდენიმე საინტერესო ლექსს, მათ შორის „ციცინათელა“, „ალბომში“, „საოჯახო ფიქრები“. სადაც იგი გამოთქვამს რწმენას, რომ უფალი უშველის და სულიერ ტანჯვას განუქარავებს.

სამწუხაროდ, კრებული 1913 წლამდე არ დასტამბულა. გამოიცა იგი შეიღის, ბორისისა და გიორგის ძმის, ალექსანდრეს

ხელშეწყობით. წიგნი შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო იონა მეუნარგია.

1887 წელს რუსეთს კი გაემგზავრა პოეტი, მაგრამ ისევ საქართველოზე ფიქრობდა.

აბა, მთავარე, ჩემო მთავარე, გაანათე ჩემი მხარე,

მტრისა გულის მოსაკლავად საქართველო შეიყვარე! – ასე ამბობს ერთ ლექსში.

გიორგი ჭალადიელი ბოლომდე პოეტი დარჩა. არ ცდებოდნენ, რომ მას თერგდალეულთა გვერდით ახსენებდნენ.

ლექსების გარდა მგოსანს დაწერილი აქვს პოემა „ლავერდი“ და „უბედურნი“, მცირე ზომის მოთხრობები, სცენები, დრამატული თხზულებები.

სამწუხაროდ 1898 წლის პირველ აპრილს იგი მინსკში მოულოდნელად გარდაიცვალა. 24 მაისს მისი ცხედარი ფოთის ჩამოსავენეს, ხოლო ორი დღის შემდეგ ჭალადიდის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

სამწუხაროდ ამბავი ქართველ საზოგადოებას „ცნობის ფურცელმა“, „ივერიაში“ და „კვამლა“ აუწყა.

შემთხვევითი არ იყო, ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა – ნ. ნიკოლაძემ, ნ. დადიანმა, დ. ერისთავმა, ი. ნაჭყევიამ და სხვებმა – საქები სიტყვები მიუძღვნეს ჭალადიელს; ნიკო დადიანმა და დიმიტრი ერისთავმა ლექსებით ხოტბა შეასხეს საყვარელ პოეტს:

დაბადებიდან 150 წლისთავი. მე მერგო პატივი, საკუთარი ხარჯებით გამომეცა პოეტის პოეზიის „ჩვეული“. სენაკის აკხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩავატარეთ იუბილესთან დაკავშირებული საღამო. იმავე დღეს ყვავილებით შევამკეთ ცენტრალურ პარკში არსებული პოეტის ძეგლი.

2014 წელს განათლების სამინისტროს წარუდგინე თხოვნა, სოფელ ჭალადიდში არსებულ საჯარო სკოლას მინიჭებოდა ღირსეული ქართველი პოეტის გიორგი ჭალადიელის სახელი. განათლების სამინისტრომ აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირა და 2014 წლის 15 ივლისს №86/წ. ბრძანებით სკოლას მიენიჭა გ. ჭალადიელის სახელი

პოეტისადმი მიძღვნილ საღამოზე ითქვა, რომ ჭალადიობა გახდება ყოველწლიური სახალხო ზეიმი რაც პოეტის დიდი პატივი და აღიარებაა.

**ბორის ღაშითაია,**  
გ. ჭალადიელის საზოგადოების თავმჯდომარე

## საგანგაშო სტატისტიკა: ქვეყანაში 800 000 ლაბაკია!



საქართველოში 800 ათასამდე ადამიანი ღატაკია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არ გააჩნია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები დასტურებს, რომ ამ მხრივ სავალალო ტენდენცია მზარდია.

“საქსტატი” წინასწარი მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 21,3% აბსოლუტურად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფია, რაც ქვეყნის მოსახლეობიდან 792 000 ადამიანს შეადგენს. როგორც გაზეთი „რეზონანსი“ წერს, სპეციალისტები მიიხიენენ, რომ ეს მონაცემი საკმაოდ რეალური და იმავდროულად სამწუხაროა. ეს ხელისუფლებისათვის საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს.

წელს “საქსტატი” პირველად გამოაქვეყნებს სიღარიბის აბსოლუტური

მაჩვენებლის მონაცემებს. მეთოდოლოგია ეფუძნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ “საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდს” და იგი გამოიყენება მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდი ითვალისწინებს სიღარიბის ზღვარის განსაზღვრას შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევის მონაცემების საფუძველზე.

წინასწარი მონაცემებით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია და 21,3% შეადგენს, შარშან ეს მაჩვენებელი 20,8%-ს შეადგენდა. გამოდის, რომ ქვეყანაში ამ მხრივ ვითარება უარესდება.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელი, სოსო არჩვაძე ამბობს, რომ ეკონომიკური ზრდის და ინვესტიციების შემოდინების ფონზე, როცა ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედზე მეტი ღატაკია, ეს შემოსავლები არასამართლიან გადაანაწილებაზე მიუთითებს.

“ქვეყანაში გაზრდილია ღარიბთა რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯდება სტატისტიკური 3-4 პროცენტის სხვაობის ფარგლებში, მაინც იკვეთება არასახარბელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სამწუხაროდ, არასახარბელო ტენდენცია მზარდია.

ეს ხელისუფლებისათვის საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს, რომ გაიზარდოს ეკონომიკა, უფრო მეტი დინამიზმია საჭირო

და რაც მთავარია, მატერიალური დოვლათის გადანაწილების მექანიზმი იყოს სამართლიანი. ახლა გვაქვს არასახარბელო სურათი: ეკონომიკური ზრდის პარალელურად იზრდებოდეს ღატაკი მოსახლეობის რაოდენობაც, ეს მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს – საზოგადოებაში შემოსავლების მიხედვით სოციალური უთანასწორობა მატულობს”, – განაცხადა სოსო არჩვაძემ.

ქვეყანაში თითქმის 800 ათასი ადამიანი უკიდურესად გაჭირვებულია. ექსპერტის თქმით, ეს მონაცემი საკმაოდ რეალური და იმავდროულად საგანგაშოა. სახელმწიფოს სჭირდება მეტად გახსნილი და გასაგები სოციალური პროგრამა, რომელიც დაეხმარება მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ამ ზღვარის დაძლევაში.

“გაჩნია, რას ავიღებთ სიღარიბის კრიტერიუმად. ევროპული და ამერიკული სტანდარტით, ბევრად მეტი ადამიანი მიხედვებოდა ამ ზღვარს ქვემოთ. მეთოდოლოგია, რომლითაც “საქსტატი” იკვლევს, საკმაოდ ადეკვატურია საქართველოს რეალობასთან. ქვეყანაში 792.000 ღატაკი მართლაც რეალურია. თანაც შემოსავლებით და საგანგაშოა. ამიტომ სახელმწიფოს სჭირდება მეტად გახსნილი და გასაგები სოციალური პროგრამა, რომელიც დაეხმარება მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, გაუსაძლისი მდგომარეობიდან თავის დაღწევაში.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები არიან ჩვენთანაც, ამერიკაშიც და იაპონიაშიც, უბრალოდ, მასშტაბებზე და საერთოდ ტენდენციებზე საუბარი. ჩვენთან ეს სემანტი ძალიან გამოკვეთილია, რაც ცალკე პრობლემებს ქმნის”, – განაცხადა “რეზონანსთან” სოსო არჩვაძემ.

პროფესორი პაატა აროშიძე შემოთთებულია სტატისტიკით, რომელიც ადასტურებს, რომ მოსახლეობის მეხუთედი ღატაკია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არ გააჩნია ან ძირეულად არასწორია.

“ვინ მოიზრება ღატაკთა კატეგორიაში? პირველ რიგში პენსიონერები, რომელთაც ამ თანხის გარდა, სხვა არავითარი შემოსავალი არ გააჩნიათ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საარსებო მინიმუმსა და მინიმალურ შემოსავალს შორის დისბალანსი ძალიან დიდია. სახელმწიფოსთვის ძალიან ცუდი მაჩვენებელია. შიდა პრობლემების გარდა, საერთაშორისო ასპარეზზეც ქვეყნის იმიჯს საკმაოდ აზიანებს. როდესაც მინიმალური ეკონომიკური ზრდის პირობებში შეჭირვებულია რაოდენობა იზრდება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში გამოძულებულ თანხებს მთლიანად შთანთქმავს შეძლებული ფენა.

800 000 კაცი ღატაკია? ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არ გააჩნია ან ძირეულად არასწორია”, – განაცხადა პაატა აროშიძემ.

თამუნა მუჰბანიანი

„მეგრული ენა ნარმოადგენს უნივერსალური საყაროს უნივერსალური მიღებას“

ასე თვლიდა, ასე მიანდა გამოჩენილ ენათმეცნიერს მამანტი ძაძამიას, რომელიც ამ ნახევარი წლის წინ მიიბარა მშობლიურმა წალენჯიხა-ეჭვის მიწამ. 29 მაისს მამანტი ძაძამიას 77 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს წალენჯიხის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მისმა ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა, ახლობლებმა, მეგობრებმა, მისი ნიჭის ნიჭის თაყვანისმცემლებმა პატივი მიაგეს ენათმეცნიერის სსოვნას და აღნიშნეს მეგრული ენის დღე.

ზუგდიდში კი, არტ-გალერეას დარბაზში (დირექტორი აბელ კალანდია) სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ და ზურაბ კვარაცხელიას დიდი მონდომებით ასევე აღინიშნა მამანტი ძაძამიას დაბადების 77-ე წლისთავი და მეგრული ენის დღე. და, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ზურაბ კვარაცხელიას ინიციატივით და ძალიან სხმევიტ სწორედ მამანტი ძაძამიას დაბადების დღე იქნა გამოცხადებული მეგრული ენის დღედ. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა უკვე ტრადიციულად მეხუთედ აღინიშნება სამეგრელოში. ენას ყოველთვის სტირდება მოვლა, პატრონობა, დაცვა, შენარჩუნება და განვითარება. განსაკუთრებით კი, იმ ენებს, რომელთაც არ გააჩნიათ დამწერლობა, ასეთ ენათარციხეს მიეკუთვნება მეგრული ენა, თუმცა „ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე ძე. ვ. აღ. მეხუთე საუკუნეში ამბობდა – „კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონიათ“.

ზურაბ კვარაცხელიას განცხადებით: „მეგრული ენის დღის დაწესება იმით იყო გამოწვეული, რომ გვესურდა მოგვეხინძა გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარი ამ ენის პრობლემატიკის აქტუალიზაცია

და საზოგადოებრიობის ყურადღების ამისაკენ მიპყრობა. გვესურდა ხელისუფლება-მთავრობას ეფიქრა და ებრუნა ამაზე. ჩვენ თავის დროზე გადაწყვიტეთ, რომ მეგრული ენის დღედ 29 მაისი გამოვცხადებინა. 29 მაისი არის მეგრული ენის უდიდესი მოამაგის, გენიალური მამანტი ძაძამიას დაბადების დღე. განსაკუთრებულია ამ სულკურთხეული ენათმეცნიერის დედაწლი. მეგრული ენის პროულარია-გადარჩენისათვის მას იმხელა შრომა აქვს გაწეული, რომ მისი სახელი და გვარი შეიძლება ითქვას, რომ ასოცირდება ამ ენასთან. ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი, ემუქრება გაქრობის საშიშროება და ხომ წარმოგიდგინათ სრულიად დაუცველ მეგრულს, ლაზურს და სვანურს თუ როგორი სავალალო მომავალი ელოდება. სწორედ ამიტომ, მე და ჩემმა მეგობრებმა, თანამოაზრეებმა მრავალჯერ მიმართეთ ხელისუფლებას, რომ სახელმწიფოს თავის ისტორიაში ერთხელ მაინც აეღო პასუხისმგებლობა გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარი კოლხურ-იბერიული ენების დაცვა-განვითარებაზე. ჩვენს მიმართებზე ხელისუფლება-მთავრობის მხრიდან სამწუხაროდ მოვისმინეთ არაფრისმოქმედი ტექსტები, გაუგებარი პასუხები. ეფიქრობთ აუცილებელია საკანონმდებლო გარანტიები და სტრუქტურული მექანიზმები მეგრულ-ლაზურის და სვანური ენების გადასარჩენად. სახელმწიფოებრივ დონეზე აუცილებლად უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს ყოველნომრულ და კომპლექსურ პროგრამას, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს ამ ენების

გადარჩენას. თუ ეს დროულად არ განხორციელდა, უდიდესი ალბათობით რამდენიმე ათეულ წელიწადში ეს ენები გაქრება. ამიტომ, კიდევ ერთხელ მოგუწოდებთ ხელისუფლება-მთავრობას, რომ დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები მეგრული ენის და საერთოდ კოლხურ-იბერიული ენების გაქრობისაგან გადასარჩენად“.

ზურაბ კვარაცხელიას (რომელსაც მიჰყავდა სახეიმი ღონისძიება) გარდა სხვა გამოხვედრებამაც: ზაად ჯალაღონიამ, გიორგი სიჭინავამ, ედემ იხორიამ, ბორის დავითაიამ, გოგი შონიამ, კოტე ნაჭყვიაბი, სერგო წურწუმიამ, შოთა წურწუმიამ, გია ჯიჭონიამ, მალხაზ გრიგოლიამ, ედემ კვიციანიამ, ვალერი ძაძამიამ, გიორგი შენგელიამ, ოთარ აძინაიამ, კოტე შეროზიამ, კლარა ფაჩუაშვილმა ასევე ისაუბრეს მეგრული ენის გაქრობისაგან დაცვის აუცილებლობაზე. ზოგმა მათგანმა მეგრულ ენაზე დაწერილი საკუთარი ლექსებიც წაიკითხა. შეკრებაზე ასევე წაიკითხეს მეგრულ ენაზე თარგმნილი რამდენიმე ლექსიც.

გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ლაზმა მაპირ ილდიზმაც თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მეგრული და ლაზური ენების გაქრობის საშიშროებას. მანვე ისაუბრა მეგრულ-ლაზური ურთიერთობის გააქტიურების აუცილებლობაზეც და სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ საწუქრად გადასცა ლაზურ-გერმანული ლექსიკონი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუხეუმების მართვის ცენტრის უფროსმა კოტე გურგულიანმა ზურაბ კვარაცხელიას გადასცა გური ოტობაიას (რომელმაც

ობიექტური მიზეზების გამო ვერ მიიღო სახეიმი შეკრებაში მონაწილეობა) მიერ მისთვის საწუქრად გამოგზავნილი „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“. გური ოტობაიას სახელით კოტე გურგულიანმა ზურაბ კვარაცხელიას სულცხონებული მამანტი ძაძამიას ოჯახისთვის საწუქრად ასევე გადასცა „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ ერთი ვეზემლარიც.

ზუგდიდის არტ-გალერეაში მეგრული ენის დღის ზეიმში მონაწილეობა მიიღეს წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, ფოთის წარმომადგენლებმა. იყვნენ საგანგებოდ ქუთაისიდან და თბილისიდან ჩამოსული სტუმრებიც, ასევე ზუგდიდში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილთა წარმომადგენლებიც.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის (დირექტორი ნინელი ჭითანავა, დირექტორის მოადგილე რუსუდან შონია) ხალხურ საკრავთა ორკესტრმა „მაფშალიამ“ და ბიჭუნათა ანსამბლმა „მასარაიმ“ (ხელმძღვანელები ქეთევან კილასონია და ნონა მაქაცარია) შეასრულეს მეგრული მელოდიები და სიმღერები. ღონისძიება დაამთავრეს ამავე სასახლის ნორჩმა დეკლამატორებმა: თამარ დარასელიამ, ლევან ქობალიამ, თათა ესართიამ, ირაკლი ნანავამ, დათო ჭანტურიამ, ნინი ჯინორიძემ და რატი შონიამ.

აღსანიშნავია, რომ მეგრული ენის დღის ზეიმზე გამომსვლელები შეკრებილთ ძირითადად მეგრულ ენაზე მიმართავდნენ.

ლადო ძირია, სპეციალურად „ილორისთვის“

პასტანგ VI-ის სტამბა და პირველი ნიშნები



ვახტანგის სტამბის გამოცემის ქალაქი მალაღარისხიანი იყო

თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სიონის ქუჩისა და საპატრიარქოს შენობის მახლობლად, ერთი პატარა მოედანია, რომელიც ერეკლე II-ის სახელს ატარებს. თუმცა, სხვადასხვა დროს მას მეფის, ბატონის, ეგზარქოსის, თავრიზის, აგუგსტ ბებელის მოედანს, საღაყბოს, ზემო ბაზრისა და ქვემო მოედანს ეძახდნენ. მოედანის ირგვლივ არაერთ ისტორიულ შენობას შორის, პირველ რიგში როსტომ მეფის სასახლე უნდა აღინიშნოს, რომელიც 1795 წელს ადამაშვილ ხანის შემოსევამ შეიწირა. იქვე XVIII საუკუნის დამდეგს აგებულ სახლში ვახტანგ VI-ის ძმა სვიმონ ბატონიშვილი ცხოვრობდა. ერეკლე II-ის უმცროსმა დამ, თეკლამ, აქ სვეტებიან ორსართულიან შენობაში აღზარდა შემდგომში ცნობილი მწერლები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები.

მოედნის გარშემო სახლებს შორის სავაჭრო დუქნები იდგა და თავის დროზე მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. სწორედ აქ იკრიბებოდნენ „სასახლის კაცნი“, სამხედროები და სხვა მოხელენი. აქვე წყდებოდა არაერთი საჭირობორტო საკითხი. სანამ საქართველოში პერიოდული პრესა გამოჩნდებოდა, სწორედ ამ მოედანზე მოსამდინდით კვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე უახლეს ინფორმაციას. „საღაყბო“ – ცოცხალი გახუთი იყო, საიდანაც ყველა ახალი ამბავი, განკარგულებები და სხვა დანარჩენი ცნობები ვრცელდებოდა.

ერეკლეს მოედანზე მდებარეობდა საქართველოში პირველი – ვახტანგ VI-ის სტამბა, რომელმაც ფუნქციონირება 1707-1708 წლებიდან დაიწყო, თუმცა, კაცილებით ადრე ქართული წიგნები საქართველოს საზღვრებს გარეთ, იტალიაში, ქალაქ რომში დაიბეჭდა (1626 წ.). ეს იყო პირველი წიგნები, ქართული ნაბეჭდი ტექსტები: ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ.

ვახტანგმა თბილისის კეთილმოწყობა და ეკლესია-მონასტრების ნარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გაიხიდა. მასვე ეკუთვნოდა თბილისში სტამბის მოწყობის იდეა, რომელიც მან თავისი გამგებლობის პირველივე წლებიდან წამოჭრა. ამით ვახ-

ტანგი შეეცადა, პირველ რიგში, ხელი შეეწყო რელიგიური მრწამის განმტკიცებისათვის, რომელსაც საეკლესიო საქმეების მოწესრიგების პარალელურად აწარმოებდა. საეკლესიო წიგნებისა და ლიტურჯიურის გამრავლების მიზნით სტამბის მოწყობის აუცილებლობა ასახულია პირველივე ნაბეჭდი წიგნების ანდერძებში. იქვე ვახტანგი ამბობს, რომ მას სტამბის მოწყობა „სულის საცხოვრებელ“ საქმედ მიანია. ამავე ანდერძის მიხედვით ვიგებთ, სტამბის პირდაპირი დანიშნულება საეკლესიო წიგნების სწორად და შეუცდომლად ბეჭდვა-გავრცელება იყო, რითაც ბოლო უნდა მოეღობოდა სასულიერო ტექსტებისა და მღვდელმსახურების წესების დამახინჯებას, უნდა აღკვეთილიყო ყოველგვარი თვითნებობა, რომელიც სხვადასხვა ადამიანის მიერ, საკუთარი ინტერპრეტაციით გადაწერილ ტექსტებს ახასიათებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბის პროდუქციის უდიდესი ნაწილი საეკლესიო ცხოვრების გაჯანსაღება-მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, ამ საქმეს არა მარტო სასულიერო პირები, არამედ საერო ხელისუფლება უძღვებოდა, რომელსაც თავად ვახტანგი ხელმძღვანელობდა. მისი დამსახურება კი შესაბამისად „აღინიშნებოდა“, ვახტანგ VI-ის პორტრეტები ყველა იმ დროის გამოცემულ წიგნებში თავსდებოდა. ამავდროულად ახლდა წარწერა: „გამგებელი ქართლისა, ბატონიშვილი ვახტანგ არის მომღებო ბეჭდისა ამის“.

სტამბის გამართვაში ვახტანგ VI-ს დახმარება რუმინეთში მოღვაწე ანთიმოზ ქართველმა (ივერიელი) გაუწია. მისი რეკომენდაციით, ვახტანგმა მოიწვია მიხაილ იშტვანოვიჩი (უნგრეოვლახელი) და მესტამბის საქართველოში გამოგზავნა იერუსალიმის პატრიარქის ხრისანტეს უშუალო მონაწილეობით განხორციელდა. უცხო კვეყანაში მუშაობა მიხაილ უნგრეოვლახელისთვის ორმაგად რთული გამოდგა, მან ქართული ენა არ იცოდა და ამავე დროს უწევდა სასტამბო საქმეში გამოუცდელი ქართველების გაწვევას. „რომელნი ჩემი მოწაფენი იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა, – წერდა მოგვიანებით იგი, – ვითარცა მე

ვიყავი ქართლისა უნახავი, ეგრეთვე ჩემი მოწაფენი სტამბისა“.

1709 წელს სამი წიგნი გამოიცა: „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“. 1710-1711 წლებში უნგრეოვლახელი ბეჭდვებს „კონდაკს“, ანუ ლიტურჯიურის შესრულების წესს, ასევე „ჟამნს“, „ლოცვანს“, „დავითს“, ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოს და სხვა წიგნებს.

1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან 5 ცალი დღესდღეობით ეროვნული ბიბლიოთეკის საცავშია დაცული და არც ერთს ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია. როგორც ამ გამოცემის თავფურცლის ტექსტი და წიგნში დაბეჭდილი ლექსი მოწმობს, ხელმწიფის კარის დეკანოზის შედის მიქაელ მესტამბის ნაღვაწია. იმავე წელს მისივე ხელითაა დაბეჭდილი აგრეთვე „დავითნი“ და „კურთხეანი“. სასულიერო ლიტურჯიურის გამოსვლა და რამდენიმე ასეულ ცალად მისი გავრცელება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო, ამ წიგნებს პოლიტიკურად დაქსახულობისა და სპარსეთ-თურქეთის გარემოცვის პირობებში დიდი გამაერთიანებელი მისია ეკისრებოდა.

სტამბაში ჰყავდათ რედაქტორებიც, რომლებსაც ტექსტის გამართვა და გასწორება ევალებოდათ. ანდერძის მიხედვით ირკვევა, რომ ვახტანგ VI-ის სტამბაში სარედაქციო სამუშაოებს ატარებდნენ ნიკოლოზ ორბელიანი (სულხან-საბა ორბელიანის ძმა) და გერმანე მღვდელ-მონაზონი. ეს ორი რედაქტორი ვახტანგს არა მხოლოდ კულტურულ საქმიანობაში ედგნენ მხარში, არამედ მისი პოლიტიკური გეზის დამცველებიც გახდნენ.

თავდაპირველად სტამბაში ნუსხური (ხუცური) შრიფტი გამოიყენებოდა, მო გვიანებით კი ის მხედრულად (საერო) დამწერლობამ შეცვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1709 წლის პირველი ორი გამოცემა – „სახარება“ და „დავითნი“ მხოლოდ შავი საღებავით დაიბეჭდა, მაგრამ იმავე წელს გამოსულ „სამოციქულოს“ თავფურცელზე და სხვა ადგილებში წითელი საღებავი გამოიყენეს, ისევე როგორც 1712 წლის „ვეფხისტყაოსანში“. ვახტანგის სტამბის გამოცემის ქალაქი მალ-

აღარისხიანი იყო, რაც იმას მოწმობს, რომ ის ევროპიდან ჩამოჰქონდათ.

ვახტანგის სტამბის წარმატება სა და საქართველოში ბეჭდვითი ტექნიკის დანერგვას ხელი შეუწყო ქართული ხელნაწერი წიგნის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ, მაგრამ 1722 წელს სტამბის საქმიანობა შეწყდა. მომდევნო წლებში მტრის შემოსევებმა და მათ უღელქვეშ ყოფნამ (რომელიც ოსმალთა ბატონობით დაიწყო, შემდეგ კი ყიზილბაშობით გაგრძელდა), 1749 წლამდე გასტანა. ამის შემდეგ ერეკლე II-სა და ანტონ I-ის მცდელობით სტამბის ფუნქციონირება კვლავ განახლდა. თბილისში ერეკლე II-ის სტამბა 1749-1802 წლებში ფუნქციონირებდა. თავდაპირველად, განახლებული სტამბა საპატრიარქო სასახლეში განათავსეს, ხოლო შემდეგ სამეფო პალატაში, ანუ, როგორც ზოგჯერ მას უწოდებდნენ – სამეფო ეზოში. ერეკლემ ახალი შრიფტი ჩამოსახმეინა და სტამბის მოსაწყობად კონსტანტინეპოლიდან პოლოს ოზანისიანი დაიბარა. სტამბაში ძირითადად საეკლესიო წიგნები იბეჭდებოდა. 1800 წელს ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის ნარკვევი ანუ მსოფლიო ისტორია. ამ პერიოდის გამოცემებზე ხანდახან დართული იყო ცნობები მისი ტირაჟის შესახებ, როგორც ირკვევა, წიგნების ტირაჟი 400-1000 ეგზემპლარი იყო.

1795 წელს თბილისში შემოტრილმა ადამაშვილ ხანმა ისევე როგორც ბევრი სხვა შენობა-ნაგებობა, ეს სტამბაც მიწასთან გაასწორა... თითქმის საუკუნე დასჭირდა თბილისში წიგნის გამოცემის საქმიანობის გამოცოცხლებას. მოგვიანებით კი ბეჭდვითი საქმის განვითარებაში განუზომლად დიდი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. სტამბები დაარსდა და ამოქმედდა საქართველოს რეგიონებშიც: ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, სენაკში, ხონში, თელავში, სიღნაღში და ა.შ. თბილისში XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, სასტამბო საქმიანობა მკვეთრად განვითარდა და მას შემდეგ დღემდე ქართული წიგნის ბეჭდვითი საქმიანობა არ შეფერხებულა.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაგრძნობს ანზორ და მალხაზ ჯინჯოლაძეებს შვილის და ძმის დიმა ჯინჯოლაძეს გარდაცვალების გამო... უფალმა გაანათლოს განსვენებულის სული...





# აქვს საზოგადოება ჰქვია?

საქართველო რომ ცხოვრების საინტერესო ვიწრო-თუღბით ვიწინავება, ბოლო დროს განვითარებულა მოვლენებზე დაგვირგვინა. დიხს! დაგვირგვინა ზოგიერთები, რომლებსაც სალი აზრი ჯერაც შეგორჩათ, თორავ საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა სწორედ ისეა აწყობილი ფაქტობრივად ალსავეს თანამედროვე ყოფაზე, რომ ზედმეტად უფროსი გეგმა არაფერი აღარაღებს. საზოგადოება, ასეთად სრულიად დაუმსახურებლად მოხსენიებული, უდავოდ არ შეესაბამება ამ სახელს, ვინაიდან სინამდვილეში ის შორსაა მისგან. რატომ? — იკითხავს მკითხველი — ჩვენთანაა დიდი ისტორიის მქონე ხალხი, საშური ქულტურის შემქმნელი, განადირსი არ არის ასეთად მოხსენიების? რატომაც არა, მაგრამ ჩვენს მოხსენიებას რა ფასი აქვს, თუ სხვამ არ მოგინახუნა? სხვამ, რომ მოგინახუნოს საზოგადოებრივი აზროვნების — ჯანსაღის და საჭიროს ნიშნები უნდა გქონდეს, რას დიდი დავისთვის — ერთობ განსწავლულ, უხელოთი განათლებული საზოგადოება. საზოგადოება ისაა, ვინც კრიტიკულად იხილავს საკუთარ თითოეულ ნაბიჯს, ცდილობს ერთგანათლებლად განსწავლოს სული და ქარბი, დღენიდან იზრუნოს საკუთარი ცხოვრების პირობების, ყოფის, უფლებების დახვის და განვითარების, ქვეყნის კეთილდღეობისთვის. საზოგადოება ისაა, ვინც უყვარს სამშობლო — სიყვან ერთობ მიუღებელი და საქილიყო ე.წ. დღევანდელი საზოგადოებისთვის. რა ანახებს ამ ე.წ. საზოგადოებას? რით არის მისი გული და გონება დაკავებული? რა აღელვებს, რაზე იწვინს არ იწვინს ნერვებს? რაზე ხარჯავს დეარტისა და მოვლენის მიერ ნაბოძები სიმოსხლის ნაგებს, წუთებს, საათებს და დღეებს? არის თუ არა ამ დანახვად დროში სამშობლო, მისი აწყობა და მოვალეობა აქედან გამომდინარე საკუთარი მოვალეობა?

მსგავსს რომ ადგილი არ აქვს ახერბაიჯანელი ჟურნალისტის მუსთარლის, „ბირჟა მავის“, ნარკოტიკების ჩადების, ბერა ივანიშვილის პოზიციის, „თავდაჯერებული“, სიმართლისთვის „მებრძოლი“ ქართული მედიის და არანაკლებ „თავდაჯერებული“ ქართული არასამთავრობოების, საზოგადოების „ამაყმა“ პოზიციამ დაგვანახა. განსაკუთრებული „დამსახურება“ მიუძღვის მედიას, რომელიც განუწყვეტლად დადებს ზემონათმხროველ თემებზე და მეტი შთაბეჭდილებისთვის ეთერში, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იწვევს „სახელგანთქმულ“ ექსპერტებს, ხელფანების წარმომადგენლებს, ე.წ. პოლიტიკოსებს, „ცნობად“ სახეებს და არის ერთი დავიდარება ელექტრონული მედიიდან, გაზეთების ფურცლებიდან — რიგით მოქალაქეს რომ ნიაგარის ჩანქრით ეხსმება თავს. ცხოვრება კი მდის თავისი დინებით — შეუცვლელად, ისეთად, როგორც იყო 25 წლის წინათ, თავისუფალი ცხოვრების დაწყების უამს. მაშინ არავის წარმოედგინა, რომ ე.წ. საზოგადოება — პროვინციულად მოაზროვნე და ქარაფშუტა, თავზე წამოაჯდებოდა ქვეყანას, ნამდვილ საზოგადოებას და ისე გააჭყენებდა, უარესს რომ მტერიც ვერ ინატრებდა. საქართველოს უამრავი პრობლემა დაუგროვდა მეტინარა, უგონო, უსაქმური „საზოგადოების“ გამოისობით. მათგან, უპირველესი, ქვეყნის მთლიანობის დაკარგვა. თავისუფალი ცხოვრების დასაწყისს საქართველოს „საზოგადოების“ დიდი ნაწილი მოუშვადებელი შეხვდა. „საქართველო“, „საქართველოს“ „პატრიოტულმა“ ძახილმა, ვერც ქვეყანას და ვერც საკუთარ თავს ვერაფერი შესძინა. რაც მივიღეთ — სისხლი, ნგრევა, გაუტანლობა, სახელმწიფოებრიობის მორღვევა, ფსევდოპატრიოტიზმი, დაუნახაობა და სხვა მრავალი ნეგატიური რეალობაა. მათ შორის გამოყოფილი ქვეყნის სიჯანსაღის საწინააღმდეგო აზროვნებას, რამაც დაგვაპირისპირა რუსეთთან და ჩაგვახუტა აშშ-თან. ჩახუტება მაშინ არის თბილი, ჟრუანტელის მომგვრელი, როდესაც შენც ხუტები და ისიც გეხუტება. ქართულ სინამდვილეში ჩახუტება სხვა განზომილება გაანია — შენ რომ ხუტები და ის შორს იჭერს თავს — მომბეზრებელი ჩამხუტებლისგან. 25 „დამოუკიდებელი“ წლის განმავლობაში, რაც ყველაზე მეტად დაგვარგეთ — თავმოყვარობაა. უთამოყვარო საზოგადოების მოქმედებამ მთელი ქვეყანა აქცია ასეთად. 25 წლის განმავლობაში, რაც გამოგვევით — უმადურობაა, ცხადია უპირველესად რუსეთის მიმართ. რაში არ ვაღანაშაულებთ მას — ტერიტორიების წართმევად დაწყებული, ჩვენი გაუსაძლისი ყოფით დამთავრებული. რუსეთია საქართველოს ყველა უბედურების მომტანი — ამას ამბობს ყველა ასაკისა და განათლების ადამიანი. სტრატეგიულ პარტნიორად წოდებულმა ამერიკამ დაინახა — რანი ვართ, რისი გაკეთების უნარი გვაქვს და დრმა დაკვირვების შემდეგ, ერთი ფუნქცია მოგვანიჭა — რუსეთის გამაღიზიანებელი. ანუ აშშ-ს ხელში მოქცეული საქართველო, სადგისის სახით, რუსული დუმებისთვის. არა წარმოება, არა ეკონომიკა, არა ინოვაციები, არა პრაგმატული აზროვნება, არამედ სადგისობა. რა გენიალური მიგნებაა ქართული საზოგადოებისთვის — ნაკლები შრომა — ოფლისდგრა, მეტი ფული და დაფასება „სტრატეგიული“ პარტნიორის მხრიდან. 25 წლის განმავლობაში ქართული „საზოგადოება“ პირნათლად ასრულებს ამერიკელთა დავალებას, მაგრამ ქვეყანა? ვის აღელვებს ქვეყანა? არც არავის. მას მხოლოდ არჩევნების დღეს იხსენებენ და ისიც ცოტა ხნით. „სტრატეგიულ“ პარტნიორს მოსწონს ასეთი საქართველო — ქვეყანა, რომელიც მისგან საჭვევსო საჭვეს არ ითხოვს — არც ქარხანას, არც თანამედროვე ტექნოლოგიებს, არც ინვესტიციას — ქვეყანას რომ ფეხზე დააყენებს. ამერიკას არ სჭირდება განვითარებული, მოაზროვნე

საქართველო, ვინაიდან ასეთთან დაპარაკი გაუჭირდება. ამერიკამ საქართველოს ისეთი თაობა გამოუზარდა, მრავალი წლის განმავლობაში რომ მისდამი მონური მორჩილება ექნება. ამერიკელთა გასახარად ქართული „საზოგადოება“ ლანძღავს და ლანძღავს რუსეთს, შეურაცხყოფას აყენებს ნებისმიერ საერთაშორისო ფორუმზე. ქართულმა მედიამ — ქარაფშუტა „საზოგადოების“ პირში, რუსეთის ლანძღვა-გინებაში სარეკორდო „მოსავალი“ მიიღო და ამ მანქნებლით „ეკვისფერ“ უკრანასაც გაუტოლდა — ჩვენსავით გაუბედურებულს და გონდაკარგულს. არაფერი უხვდება ქვეყნის საქმეს, თუ პოლიტიკა არ მიანახებს მედიას, რომ რუსეთის მუდმივი ლანძღვა-ქილიკი სულის მოგზავნა. მეზობელს არ ირჩვენ. მეზობელს დეარტი ვინაველთ მისთან ურთიერთობის ანახანი. თუ როგორ ვინაველთ — ნათელია. 25-წლიანმა ანტირუსულმა პროპაგანდამ გადააგვარა ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ცოცხალი რუსი არ უნახავს. ახალგაზრდობას არაფერი სმენია ქართულ-რუსული თანაცხოვრების არაერთსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ. მაგრამ ვინც იხის, რატომ აქვს თავს უფლებას ბაკანდლოს წარსული, რომელიც რუსეთს უკავშირდება? ის ვინდა გითხრათ, რომ წლები განმავლობაში თავადაც ვიყავი თბილისის სახელობა მთავარ არქივში-ტოკაბთან - შოთა ყავლაშვილთან, ივანე ჩენკელთან არსებული საბჭოს თბილისში ახანდა სოროტის სასახლე, გზების სამინისტროს უნიკალური შენობა, მაშინ დიწყოდ დღეაქალაქის ისტორიული ნაწილის აღდგენა-რესტავრაცია-რეაბილიტაცია, — ახანდას გიგა ბათიაშვილი, სწორილი არქივტიტორი, რომელსაც ამათმინდალბა პრეზიტი დაუნახეს. ვთვლი, რომ მერიის არქივტიტორის სამსახურის განახლებილბა სწორად იმ დღეებში დაიწყო — აღახტარავს. სწორად იმ შემთხვევაში ახანდალბა ბავრი რამ ჩვენს ქალაქში და რატომ ვაგინებთ იმ წლებს? ვაგინებთ იმიტომ, რომ თავი გვირად ნარკოვაჩინოთ. ვაგინებთ იმიტომ, რომ ვინდა არაფერი თქვას — რუსეთს

ვაქვითო. ვაგინებთ იმიტომ, რომ ჩავვითვალოს. მაშ, რომელი სჯობს — ის მკიმა პერიოდი, რომელსაც შენდავობდა, თუ დღევანდელი, რომელსაც დაწყებთ, არქივტიტორის დონეზე გიგანტიკური სანახლოვნაქილ სურათოქლ-პარს? ნინ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დაქანონების საკითხი გვაქვს გადასახვევტი და სხანდა, დავით ბარჯის აქათ თუ იქით ყოფნა, მკიმა და საქავათო თვანდაა გზაული. აზერბაიჯანი, თავს, ამ ბარიტორიის ისტორიულ მემკვიდრად თვლის. ასეთ დროს რა სჯობს მხარდამჭარ, ქლიარ ქვეყანას, რომორის რუსეთია?! არადა, გონივრულად მოქცევის შემთხვევაში არს 9 პერილი იქნებოდა და არს იქიდან მოყოლებული საშინალებანი, თავს რომ დავახტყდა. ქქანა-გონების მტი განძრავა იყო საჭირო, რას საზოგადოება ვარ მოახარხა. დღესაც ვერ ახერხებს და ნაცვლად უმთავრეს საკითხებზე აქცენტების გაკეთებისა, მეორეხარისხოვან პრობლემებზე „იკლავს“ თავს. ტერიტორიული, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები უყურადღებოდ რჩება. ნაცვლად ამისა ზედპირულ-ქარაფშუტული „პრობლემები“ — მუსთარლის, ე.წ. მუსიკოსების, ნარკოტიკების ლეგალიზაციის, სხვა ყბადღებული თემები რომ ჰქვია. „ბირჟა მავის“ ბერამ სოლიდარობა გამოცხადო — გვაუწყებს მედია. იმავე მედიამ მუსთარლი ხომ ლამის ჩვენ დეიდლ მმად აქცია. აღარაფერს ვამბობ ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალიზაციაზე და კონსტიტუციასთან დაკავშირებულ შეხლა-შემოსხლაზე. „კონსტიტუციაში ჩაწერეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უცხოელზე არ გაიყიდებოდ“, — ამბობს კვირიკაშვილი. კეთილი, მაგრამ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების? და რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გადაიქცევა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების? ვიცით ხელისუფალთა მაქინაციების შესახებ და იმიტომ ვეჭვობთ. გასოფლო მეორის განცხადება — ვაკის პარკში არაფერი აშენდებოდ, მაგრამ შემდეგ „წითელი ხაზი“ ლამის აუხთან გაავლეს და დანარჩენი ტერიტორიები პარკსგარე ზონად გამოაცხადეს და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. ისეთი მშენებლობის ბუმი, რომ ხელფანურად გაშენებული მწვანე საფარის, მათ შორის ხეტების ნატამალიც არ დარჩება. „როგორ შეიძლება ესოდენ მკაცრი კანონი ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა-მოსმარებასთან დაკავშირებით“, — გაკვივის „მოწინავე“ ქართული „საზოგადოება“ და ისეთ განცხადებებს აკეთებს, პოლანდიასაც რომ შეშურდებდა. დიხს! ჩვენ მაგრები ვართ — სულით-ხორცადვე თავისუფლები. დასავლეთზე უფრო მეტად თავისუფლები, დემოკრატები, ადამიანის უფლებების დამცველები, ერთნაირსქესიანთა ქორწინების გამზარებლები და ა.შ., მაგრამ არ ვართ ქვეყნის, სამშობლოს დამცველები. რა დროს სამშობლოა, ეს ხომ გომიური მცნება?!

ზ. ჰამლეტიძე პოლიტოლოგი

ვინ ააშენა და რა დაჯდა ფუნიკულორის მშენებლობა – უსწორი ფაქტები



ფუნიკულორის გაყვანამდე მთაწმინდა სპეკულაციის ერთ-ერთი წყაროს წარმოადგენდა

ზაფხულის ცხელ დღეებში თბილისში განსაკუთრებით პოპულარული ხდება ფუნიკულორი, სადაც სადამობოთი ქალაქთან შედარებით, რამდენიმე გრადუსით დაბალი ტემპერატურაა და გრილია. ატრაქციონებითა და სხვადასხვა გასართობი საშუალებით დატვირთული პარკი "ბომბორა" კი, რომელიც 2007 წელს გაიხსნა, არაერთი ბავშვის საყვარელი ადგილია.

პირველად ფუნიკულორის ტერიტორია XIX საუკუნის მეორე ნახევარში ათვისეს, მანამდე კი ის ერთ "ვერანსა და უდაბურ" ადგილს წარმოადგენდა, სადაც არც ხე იდგა და არც ბუნჩი ხარობდა. იმ პერიოდში გოლოვინის პროსპექტზე (დღევანდელი რუსთაველის გამზირი) "ვეროპულმა თბილისმა" დაიწყო სიცოცხლე, მამადავითის მთა ერთბაშად მოექცა თბილისელთა ყურადღების ცენტრში. მთაწმინდის მოტიტელელებული ვერდობებიდან წვიმების დროს, ნიაღვარს ქვიშა და შლამი ჩამოჰქონდა, რომელიც მის

ქვევით ქუჩებსა და მოედნებს ანაგვიანებდა.

ფუნიკულორის გაყვანამდე მთაწმინდა სპეკულაციის ერთგვარ წყაროს წარმოადგენდა. ხან "ქალაქის მამები" იყენებდნენ ფულის მოსახვეჭად და ხანაც – კერძო მესაკუთრეები. რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, რევოლუციონერმა ვინმე დელაშვილმა იქ არარეგულარული სტამბა მოაწყო, რომელშიც პროკლამაციებს ბეჭდავდა და თბილისში ავრცელებდა.

იმ პერიოდში დელაქალაქი სახეს მალე იცვლიდა და მთაწმინდაზე გასეირნების მსურველთა რიცხვიც ნელ-ნელა იზრდებოდა. ბევრს სურდა, მშენებარე ქალაქისათვის ზევიდან გადმოეხედა და მისი მხურთველი უცხოელი სტუმრებიც დაეტკობო, ამიტომ ასახველად გზის გაყვანა გახდა საჭირო. მთაწმინდის რელიეფის შესაფერისი გზა სამთო-საბაგირო რკინიგზა ანუ ფუნიკულორი გახლდათ. ფუნიკულორი ლათინური სიტყვიდან – "ფუნის" წარმოდგება და ბაგირს, თოქს ნიშნავს. იმ ხანად ასეთი გზები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაკადავდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მალე გამოჩნდა საქმის მოთავეც – თბილისის "კონკის" დირექტორი, ბელგიელი ინჟინერი ალფონს რობი. მან ფუნიკულორის მშენებლობის იდეა 1896 წელს წამოაყენა და თავისი გადაწყვეტილება ქალაქის თვითმმართველობას გააცნო. მოლაპარაკებებმა ფუნიკულორის გაყვანაზე სამ წელიწადს გასტანა, ქალაქის თვითმმართველობამ მხოლოდ 1900 წელს დართო ნებართვა ინჟინერს, მშენებლობა დაეწყო. როგორც კი ხელშეკრულება გაფორმდა, ბელგიელმა მთაწმინდის მიწა ნაკვეთებად დაყო და აგარაკების სახით მის გაყიდვას შეუდგა, იქვე დატოვა ადგილი ფუნიკულორისთვისაც. თუმცა, ვაჭრობა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რამაც აგარაკის მფლობელები გაანაწყენა და რობის წინააღმდეგ საჩივარი აღძრეს. ამ ფაქტმა კი ინჟინერი იძულებული გახდა, მშენებლობა მაშინვე დაეწყო და ეს 1903 წლის სექტემბერში მოხდა. ამ საქმეში ბევრი უცხოელი სპეციალისტი ჩაერთო. პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა, ბლანშმა, არქიტექტურულად კი ალექსანდრე შიმკევიჩმა დაამუშავა. გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ბელგიელი ინჟინერი რაგოლერი, რომელსაც იტალიელი ინჟინერი, ფონ ტანაროსი ეხმარებოდა. ფუნიკულორის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ინიციატივითა და მიხარდაჭერით შესრულდა რკინიგზის საშუალებით ფუნიკულორის ესკადისათვის ანუ ხიდისებრი ნაგებობისთვის, რომელზეც რკინიგზა გადის.

ქალაქის გამგეობის ნებართვით, ფუნიკულორის საზოგადოებამ ქალაქის ცენტრისა და ფუნიკულორის დასაკავშირებლად ქვედა საღვურდიან ერევნის (ახლანდელი თავისუფლების) მოედნამდე მგზავრთა ტრანსპორტირებისათვის ელექტროტრამვაი გაიყვანა.

საბოლოოდ, ფუნიკულორის მშენებლობა 1904 წელს დასრულდა და ეს თარიღი ღიანდაგზეცაა აღბეჭდილი. მშენებლობაზე 400 ათასი მანეთი დაიხარჯა. მისი სიგრძე 501 მეტრი იყო. თავდაპირველად ვაგონი სამი კუპესგან შედგებოდა და თითოში 8 მგზავრი ეტეოდა. ვაგონს ჰქონდა ორი ბაქანი 24 მგზავრისთვის. მოგვიანებით ეს

ორი ბაქანი კუპედ გადაკეთდა და მასში გრძელი სკამები დაიდგა. თითოეული ვაგონის წონა 4.000 კილოგრამს აღწევდა. ვაგონები ერთმანეთს გვერდს გზის შუა ნაწილში უვლიდნენ და ერთი გეზს ფუნიკულორის ზედა საღვურისკენ იდებდა, მეორე – ქვევით. მგზავრობა, ასევე ჩამოსვლა, 20 კაპი კი ღირდა. 1905 წლის იანვარს "ივერიის" ერთ-ერთ ნომერში გაჩნდა ცნობა, რომ "გუბერნიის სატექნიკო კომისიამ და ქალაქის ინჟინრებმა ფუნიკულორი დაათვალიერეს და მას მუშაობის ნება დართეს". "...როგორც კომისია ამბობს, ვაგონის ასვლა-ჩამოსვლას ექვი წუთი დასჭირდა, გზაში ვაგონის შესახვერებელი მანქანა-ტორმუხიც მოსწონებია კომისიას. გაქანებული ვაგონი საუენ-ნახევარზე შეუჩერებია უცბად".

თბილისის ფუნიკულორი სახეიმიდ 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა.

ერთგან ფუნიკულორის პირველი მემანქანის, ვასო ყვავილაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: "პირველად ხალხს ეშინოდა ბაგირის გაწყვეტისა და ვაგონებში არ ჯდებოდა. ხალხი ფაეტონებით მოჰყავდათ და ფულს აძლევდნენ – აიღეთ ფული, ნუ გეშინიათ, ჩასხედითო. მერე, ხალხი რომ შეწყვია, იცოცხლე, ბილეთებზე რიგი იდგა".

ფუნიკულორის გახსნიდან დიდი ხნის შემდეგ, ერთხელ ბაგირი მართლაც გაწყდა და სამწუხაროდ, ბევრი ადამიანიც იმსხვერპლა. ამ ტრაგედიის გამო ხალხის ნაწილს ვაგონებით მგზავრობის შიში კვლავ გაუნდა, მაგრამ ფუნიკულორის დამთავლიერებელი მაინც არ აკლდებოდა. პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების მმართველობის პერიოდში, ფუნიკულორის მიმდებარე ტერიტორიაზე საშუალებები მნიშვნელოვნად შეფერხდა. XX საუკუნის 20-იან წლებში კი მთაწმინდის ფერდობის გამწვანება დაიწყო. 1934 წლის 4 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მთაწმინდაზე კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა დაიკვამა. მოგვიანებით ამ ბაღს სტალინის სახელი მიაკუთვნეს.

ანა კალანდია

ვენი ვილოკი – ქურდი და ყაჩაღი, რომელმაც კრიმინალური პოლიცია ჩამოაყალიბა და კერძო დეტექტივების მსოფლიოში პირველი სააგენტო გახსნა



"ერთადერთი გრძნობა, რომელიც დამნაშავე შეიძლება პოლიციელს გაუღვივოს – დაცინვა და გაოგნება" – ვენი ვილოკი

გამოძიების სფეროში კრიმინალისტიკა უდიდეს როლს ასრულებს. სხვადასხვა ანალიზებითა და ექსპერიმენტებით ექსპერტები დანაშაულის გახსნას და დამნაშავის დაკავებას ცდილობენ. თანამედროვე ტექნოლოგიებმა კრიმინალისტიკას წარმოუდგინებელი შესაძლებლობები მისცა. დრო, როდესაც დამნაშავის დაჭერისას გამოძიებლები მხოლოდ თითის ანაბეჭდების იმედზე იყვნენ, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა.

ვენი ვილოკამდე მსოფლიოში კრიმინალური სამსახური ფაქტობრივად არ არსებობდა. ერთ დროს კრიმინალური სამსახურის მეფე ცხოვრების მეორე ნახევარი კანონის სადარაჯოზე გაატარა და გამოძიების სფეროში დეკენდა იქცა.

მისი პიროვნების მიმართ გულგრილნი არც მწერლები იყვნენ. შეუდარებელ

"საბრალდონში" ფრანგმა ვიქტორ ჰიუგომ ვენი ვილოკი ერთდროულად ორ პერსონაჟში – ყოფილ კატორღელ ჟან ვალჟანსა და დაუნდობელ პოლიციელში – ჟავერში განასახიერა.

ვილოკი 1775 წლის 23 ივლისს მცხოვრების ოჯახში დაიბადა. მამის აქტიური მცდელობის მიუხედავად, ბავშობიდანვე პატარა ექვნი შრომის ნაცვლად, გართობა და დროსტარება, ბანკო და სხვა აზარტული თამაშები იზიდავდა. 10 წლის ასაკში წაგებული ვალის დაბრუნებისთვის ექვნი სახლიდან ვერცხლის ჭურჭელი მოიპარა (ისევე, როგორც მისმა გვირმა ჟან-ვალჟანმა მოიპარა ვერცხლის შანდლები ეპისკოპოსის სახლიდან, რომელმაც მას თავშესაფარი მისცა). გაბრაზებულმა მამამ ის არასრულწლოვანთა ციხეში ჩასვა. თუმცა 2 კვირის თავზე მშობლის გული მოღბა და გზასაცდენილი ექვნი სახლში დააბრუნეს. მაგრამ ვილოკმა იმედები არ გაამართლა. 16 წლისამ ოჯახს გადამალული ფული მოპარა და ახალი თავგადასავლების ძიებაში ამერიკას მიაშურა.

ამერიკაში ვილოკს არ გაუმართლა. ჩასვლისთანავე ის დააყაჩაღეს. ფულის საშოვნელად მომავალ კერძო დეტექტივს მომთაბარე ცირკში მოუხდა მუშაობის დაწყება. ერთი წლის თავზე ის საფრანგეთში დაბრუნდა და არმიის რიგებში ჩაეწერა.

ვილოკი ვერც არმიის დისციპლინამ გამოასწორა. ის ჩხუბების და დუელების მუდმივი მონაწილე იყო. ჯარიდან შებუღებუბაში წასული ფულს ქურდობით და გამოძალავით შოულობდა. შემდეგ მთელ თანხას სმას, გართობას და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ახარჯავდა და

ვახარმაში ისევ ჯიბეგახვერტილი ბრუნდებოდა.

ვილოკი ბევრჯერ დააპატიმრეს და რამდენჯერმე სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანეს. მაგრამ ყოველ ჯერზე ის მართლმსაჯულებას უსხლტებოდა ხელიდან. ციხიდან ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ სხვა პატიმრების დახმარებით გაბრუნდა.

1799 წელს მორიგი გაქცევის შემდეგ ვენი ვილოკი პარიზში დასახლდა, სადაც ვალბი დოკუმენტებით 10 წელი იცხოვრა. ერთ მშვენიერ დღეს ყოფილი თანამზრახველების შანტაჟმა ვილოკს რადიკალური ნაბიჯი გადაადგმევინა – ის პრეფექტურაში გაეშურა და პოლიციას საკუთარი დახმარება შესთავაზა.

დაბნეული პოლიციელები თვალებს არ უჯერებდნენ. საკუთარი ფეხით მოსული ყოფილი ყაჩაღი და სიკვდილმისჯილი პატიმარი მართლმსაჯულებას ქურდების დაჭერაში დახმარებას სთავაზობდა. საკუთარი ზრახვების დადასტურებისთვის ვილოკმა პოლიციას უახლოეს დღეებში მოსალოდნელი ქურდობის შესახებ აუწყა. ინფორმაცია ნამდვილი აღმოჩნდა – ქურდები საიუველირო მაღაზიის გატეხვის მცდელობისას ადგილზევე დააკავეს.

ვილოკის აზრით, ქურდების დაჭერა და დანაშაულის აღკვეთა ყველაზე უკეთ მხოლოდ ქურდს შეეძლო. რამდენიმე თვის განმავლობაში ის პატიმრის როლში საკინდან საკანში გადადიოდა და პარიზის ქურდული სამყაროს შესახებ ცნობებს ავრთვებდა. ნდობის მოპოვებაში ვილოკს კრიმინალური წარსული ეხმარებოდა.

1811 წელს მან ორგანიზაცია "სიურეტე" ("უსაფრთხეობა") – მსოფლიოში პირველი სისხლის სამართლის გამოძიებელი ჯგუ-

ფი შექმნა. 12 წევრიანმა ორგანიზაციამ არნახულ წარმატებას მიაღწია. მხოლოდ მუშაობის პირველი წლის განმავლობაში დააკავეს 15 მკვლეელი, სახლის 100-ზე მეტი ქურდი, 70-ზე მეტი ჯიბის ქურდი. გახსნილი დანაშაულებების რიცხვმა 500-ს გადააჭარბა.

მისი მითითებით შეიქმნა გამოძიებელი საქმეების არქივი, სადაც ინფორმაცია თარიღებისა და დანაშაულის ტიპის მიხედვით იყო დახარისხებული.

"სიურეტეს" ვილოკი 1827 წლამდე ხელმძღვანელობდა. შემდეგ მას დაკავებული თანამდებობის დატოვება აიძულეს. გამოძიებლის საქმიანობას, სახელმწიფო მოხელის რანგში ის მცირე დროით 1832 წლის რევოლუციისას დაუბრუნდა. ერთი წლის შემდეგ ვენი ვილოკმა მსოფლიოში პირველი კერძო დეტექტივების სააგენტო გახსნა.

"სიურეტეს" ეფექტურობამ, სხვა ქვეყნებში მსგავსი ორგანიზაციების განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა. 1842 წელს ბრიტანულ სკოტლანდ-იარდში სპეციალური გამოძიების ჯგუფი შეიქმნა. 8 წლის შემდეგ ამერიკაში ალან პინკერტონმა კერძო დეტექტივების მსხვილი კომპანია გახსნა.

მეცნიერების განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა დანაშაულის გახსნის მეთოდებიც. 1883 წელს ფრანგმა ალფონს ბერტილიონიმ "ანტროპომეტრია" გამოიგონა. ამერიკიდან დამნაშავეს მისი ფიზიკური პარამეტრებით აღგებდნენ. თითქმის იმავე დროს დიდ ბრიტანეთში დაქტელოსკოპია – პიროვნების თითის ანაბეჭდებით ამოცნობის მეთოდი დაიხერგა.

ნუკრი მბეპლაძე



# ვლადიმერ ბარჩაიას მოგონებები...



1964 წლის 18 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. ტაშენკო გამართულ „ოქროს მატჩში“ მსოფლიოს „ტოროპედო“ დაამარცხა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება დაიმსახურა.

იმ შემადგენლობის გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა თავდამსხმელი ვლადიმერ ბარჩაია გახლდათ, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია და საკუთარ სპორტულ კარიერას გაიხსენებს.

„როცა გაგრამში ვცხოვრობდი და ვთამაშობდი, თბილისის „დინამო“ ლესელიძეში ემზადებოდა. პატარა ბიჭები ჩვენი კერპების თითოეულ მოძრაობას აღტაცებით ვაღვივებდით თვალს: ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ლომიძე, გრიგოლ გაგუა, გაიოზ ჯუჯულაძე... რომელი ერთი ჩამოვთვალთ? 14 წლისა, როცა უკვე გაგრის „დინამოს“ მოხარდითა გუნდში ვთამაშობდი, მათ მხარდამხარ ასპარეზობაზე ვოცნებობდი.

პირველად სკოლის საფეხბურთო სექციამ დაიწყო ვარჯიში. ჩვენი მწვრთნელი ცხონებული რევაზ შარტავა იყო. მერე სპორტსკოლაში გადავიღეთ ალიოშა ბობოხიძისთან. სწორედ იქ გავიცანი გიორგი სიჭინავა და მას შემდეგ ვმეგობრობთ.

„დინამომდე“ უამრავი მატჩი და არაერთი გუნდი იყო: გაგრის „დინამო“, მერე აფხაზეთის ნაკრები, შემდეგ გაგრის „ბურვესტნიკი“. ამ კლუბში აფხაზეთის ჩემპიონი გახვდები და საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ვითამაშე. იქ წარმატებით ვიასპარეზეთ, პირველ ჯგუფში მოხსენებდა კი ლანჩხუთის „გურასთან“ გველოდა გადაწყვეტი თამაში. ვიცოდით, რომ მატჩი ლანჩხუთში კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ ერთი დღით ადრე გვიხმეს, კარგი შემადგენლობა ვერ შეგკრიბეთ და 1:3 წაგავით.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის კლუბები ხშირად სტუმრობდნენ აფხაზეთის სეზონისთვის მოსამზადებლად. მათთან ამხანაგურად ვთამაშობდით. მე-10 კლასში ვიყავი, როცა კიევის „დინამოს“ და ერევნის „სპარტაკის“ მწვრთნელებს მოვეწონე, სახლშიც გვესტუმრნენ, მაგრამ მშობლებმა არ გამოშვეს, ჯერ პატარააო.

1956 წელს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით. ჩვენი მთავარი მწვრთნელი ანდრო ჟორდანიია იყო, გუნდის კაპიტანს კი ვერ გამოიცნობთ – ზურაბ სოტკილაძე! ფინალში უკრაინის ნაკრებს 2:0 მოვუგეთ.

ზურა თბილისის „დინამოშიც“ მოხვდა, მაგრამ მოსკოვის „დინამოსთან“ ერთი მატჩის შემდეგ გუნდიდან გაუშვეს. იმ შეხვედრაში მოსკოველთა ფორვარდმა ურინმა ჯერ ჩვენი მარცხენა მცველი უსტაბაშიდი დატანა, მერე კი სოტკილაძე. თამაშის შემდეგ გაიოზ ჯუჯულაძემ ორივე დაითხოვა. წლების მერე ზურას, რომელიც უკვე სახელგანთი საოპერო მომღერალი იყო, გაჭირვებაში მყოფი ურინი ხშირად რაკოსხვდა, დახმარებებს სთხოვდა. ზურაც, რაც შეეძლო, ხელს უმართავდა.

ჩვენ დროს სირცხვილად ითვლებოდა ნოტებით ან ოპერაში სიარული, ამიტომ ზურა კონსერვატორიაში ყველასგან მალულად სწავლობდა. ერთხელ, როცა სოტკილაძე მეთხუთვე კურსზე იყო, მეგობართან დამატყუა. შუა ღვინის დროს მაგნიტოფონი ჩართეს და უცნობი საოპერო მომღერალი მომასმენინეს. ძალიან მომეწონა. მკითხეს, ხომ არ იცი, ვინ არის? მხრები ავიჩქნე, წარმოდგენა არ მქონდა ვინ იყო. თურმე ზურას ჩანაწერი დაუკრავთ!

საიდან განდა ჩემი მეტსახელი? „სიომ“ ჩემი ცხვირის ფორმის გამო გაგრამში შე-

მარქვა მეზობელმა, ვოვა ლეხეიძემ. როცა თბილისში ჩამოვედი, უკვე ყველა ამ მეტსახელით მიცნობდა. „სიომას“ ფეხბურთთან არავითარი კავშირის არ აქვს, სამაგიეროდ, მეორე მეტსახელი – „სტალინი“, რომელსაც მხოლოდ მეგობრები და ძალიან ახლობლები მეძახდნენ, ფეხბურთთან პირდაპირ კავშირშია. მოსკოვში ყოველთვის კარგად ვთამაშობდი, გოლებიც ხშირად გამქონდა და... 1959 წლის 25 ივლისს მოსკოვში „სპარტაკს“ 5:4 მოვუგეთ. მე კეთ-თრიქი შევასრულე. პოდა, სწორედ იმ თამაშის შემდეგ შემარქვეს თანაგუნდელეგმა „სტალინი“.

თბილისში ანდრო ჟორდანიამ ჩამომიყვანა. მაშინ აფხაზეთში ბევრი რუსული სკოლა იყო და არაერთმა მეგობარმა რუსეთს მიაშურა, თუმცა მე თბილისში წამოვედი. ჟორდანიამ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექტორი იყო და სტიპენდიის სახით 800 მანეთიც დამინიშნა. მალე, როცა სკოლის გუნდში კარგად ვთამაშობდი, მან გაიოზ ჯუჯულაძესთან მიშუამდგომლა და 1956 წლის შემოდგომით „დინამოში“ მოვხვდი. პირველად ძირითად შემადგენლობაში მოსკოვის „ტოროპედო“ წინააღმდეგ ვითამაშე და გოლიც გავიტანე!

1957 წელს „დინამოში“ ჩავირიცხე და ხელფასიც დამინიშნეს – 1300 მანეთი! ახალწვეულებს მეკარე ვლადიმერ მარდანიას გვაპატრონობდა – პატარა ბიჭებს თან გვყვებოდა, საერთო საცხოვრებელში დღეში რამდენჯერმე გვაკითხავდა და ყველანიარად ცდილობდა გუნდში მყარად მოგვეყვინა ვყვი. ისიც აფხაზეთიდან იყო და ძალიან კარგად იცოდა რამდენი წინააღმდეგობა გადამაგზავდა უწევთ პატარა ბიჭებს, სანამ „დინამოში“ თავის ადგილს დაიმკვიდრებენ.

ჩემი კერძი ბახა ლომიძე იყო. თავისი საჭმის ასეთი ერთგული ადამიანი ცოტა თუ მინახავს. 1958 წელს, როდესაც „დინამოს“ ძალიან უჭირდა, ლომიძე იქმ, ფაქტიურად, მარტომ გადაარჩინა გუნდი ლიგის გაგრძელებას! მის ოსტატობაზე ბევრს არ ვისაუბრებ, ამის შესახებ არაერთხელ დაწერია. იცით, ბახას საოცარი მეხსიერება ჰქონდა, დაწერილებით

ახსოვდა ყველა თანაგუნდელის დებიუტი. ერთხელ ჩემი ის გოლი გაიხსენა, რომელიც არც მახსოვდა – დაწვრილებით ამიღწერა, როგორ შევავადე ბურთი. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი კაცი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა...

დიღომში, გუნდის ბაზაზე არცთუ კარგ პირობებში ვცხოვრობდით. მეტწილად წვინანს და ბორშის გვაჭმევდნენ, ხორცი იშვიათობა იყო, რძის ნაწარმსაც კი უხარისხოს გვაწვდიდნენ. ერთი პერიოდი ჩვენი მთავარი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი თავზე ადგა მხარეულებს, რომ წესიერი საჭმელი მოეშადებინათ. ვინც თბილისელი იყო, სახლში მიდიოდა ნორმალურად რომ ეჭამა, ჩამოსვლებს კი მეგობრები გვაკითხავდნენ და სასადილოდ მივყავდით.

ის ცნობილი ფოტო, ჩემი „სახელობის“ პლიაჟი რომ უწოდეს, ბელგის „ლა განტუხთან“ თბილისში ამხანაგური შეხვედრის დროსაა გადაღებული. მახსოვს, რომ 2:1 მოვიგეთ, მაგრამ რა ფინტი გავაკეთე ან როგორ დავაწვინე იმდენი მცველი, ახლა ნაღდად არ მაგონდება. ფეხბურთელები ხშირად ინტუიციით ვერძნობთ რა გავაკეთოთ, არა მგონია ვინმე წინასწარ გეგმავდეს ამა თუ იმ ფინტს...

ახლა არავის სჯერა, მაგრამ 60-იანი წლების ბოლომდე ჩემპიონატის და თასის გათამაშების გამარჯვებულებს ღამის წინასწარ ადგენდნენ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელები, მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნით, მხოლოდ დედაქალაქის კლუბები უნდა ყოფილიყვნენ – ყველა სხვა გუნდს თასამდე მისასვლელი გზა „მოჭრილი“ ჰქონდა. 1960 წლამდე მხოლოდ ორმა არამოსკოვერმა კლუბმა მოიგო ეს ჯილდო და თუ გარკვეულ დეტალებს გავითვალისწინებთ, მიხვდებით რატომაც: 1944 წელს გათამაშებაში ლენინგრადის „ზენიტმა“ გაიმარჯვა – საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებმა ასე მიულოცეს გერმანელების ბლოკადის მოხსნა ლენინგრადელებს; 1954 წელს კი, უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლის იუბილე აღინიშნა და ტურნირშიც კიევის „დინამომ“ გაიმარჯვა.

## სპეციალური განცხადება

როგორც ცნობილი გახდა, „ილორს“ შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, გახუთი არ ტოვებს ყურადღების გარეშე არცერთ საჭირობორტო საკითხს, ის მუდამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება! მან დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და დიდი სიყვარული! ამიტომ მოგმართათ თხოვნით და შემომაქვს წინადადება, რათა, ჩვენ მეკითხველი საზოგადოება დაგუდგეთ გახუთს გვერდში და ვისაც რის საშუალება გვქონება, გაგუწიოთ ფინანსური დახმარება!

მსურველებისათვის ასევე განვათავსებთ რეკლამებს შედევათიან ფასებში, ამისათვის გთავაზობთ საბანკო ანგარიშს, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი მსურველის მიერ, ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა! ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირვის“. ასე, რომ ჯერი ჩვენზეა!

პატივისცემით,  
**ანზორი დანელია**  
ტელ. 571 22 66 34

საბანკო ანგარიში:  
ს.ს „ლიბერთი ბანკი“  
ანგარიშის ნომერი:  
**GE79LB0711188020717000**  
ანგარიშის ვალუტაში: **GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში**  
მფო: **220101480**  
მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: **ს.ს. „ლიბერთი ბანკი“**

ი. ჭავჭავაძის გამზირი 74  
თბილისი, 0162, საქართველო  
მიმღები ბანკის **swift** კოდი: **LBRTGE22**  
ანგარიშის მფლობელი (მიმღები): **ანზორი დანელია**  
იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ჩანაფიქრს უწერია განხორციელდება და მგონი კეთილი ხალხის ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, მინდა წინასწარ გაცხადო: ჩვენი საქველმოქმედო აქციის დაწყებიდან, ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, გახუთის ფურცლებზე, თანხის შემოწირველთა თანხმობის შემთხვევაში, ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი სრული ინფორმაცია თანხის შემოწირველებისა და შემოწირული თანხის ოდენობის შესახებ!



## დიდებული კაცის ხსოვნას

ეროვნული მოძრაობის ძველ კოჰორტას გამოაკლდა დიდებული ქართველი კაცი მურმან ქანთარია. გარდაიცვალა საქართველოს თავისუფლებისთვის, ქართველი ერის კეთილდღეობისთვის უკომპრომიზო მებრძოლი ადამიანი. მცოვანი კაცი არ აცდენდა არც ერთ საპროტესტო მიტინგს, სადაც ასიათასობით ქართველთან ერთად ამხელდა ამაყვეყნის ძლიერთა უკეთურობას. წავიდა ჩვენგან ოჯახის კარგი მამა, კარგი ბაბუა, კარგი მეგობარი და ახალგაზრდებისთვის კარგი მაგალითის მიმცემი.

ბატონმა მურმანმა თავისი ცხოვრებით დიდი ღმერთის საკურთხეველის სახელგოვს ადგინა დამიკვიდრა.

ილორც ზეციურ საქართველოდან სამშობლოსათვის!

**მეგობრების ჯგუფი**

## იუბილეო

იუსტიციის სამინისტროში ციხის ახალი უფროსის კანდიდატურას იხილავენ. – და თქვენ ფიქრობთ, – ეკითხებიან კანდიდატს, – რომ ამ კაცის მკვლელობა და მახინჯეობა გამკლავებას შესძლებთ. – შეეძლებ, – აცხადებს კანდიდატი, – ვინც უკმაყოფილო დარჩება, კინწისკერით გამოვგადებ... \* \* \*

მუზეუმში ვენერას ქანდაკებასთან ცოლ-ქმარი ჩერდები: – დედააა, რა უყო ამ ქალმა ხელები? – უპიროს ცოლს. – იჭამე ფრჩხილები და მასე მოგივა შენც. \* \* \*

– ბატონო დირექტორო, ძალიან გთხოვთ, ხვალ ჩემთან მობრძანდეთ სახლში. პატარა ვახშამი გვინდა მოვიწყოთ. – არ შემოძლია, დაკავებული ვარ. – აბა შენათ ღმერთმა, დიდი მაძლავს! \* \* \*

კახელს სომეხი ნათესავი ესტუმრა. სვამენ. – ეხლა, ერთიც მე უნდა ვთქო, – ჭიქას ასწოა სომეხმა, – ამ ჭიქით დედიშენის შევსვათ. – რათა დედინემისა, მამინემისა შავსვათ. – არა, ჯიგარ, დედიშენისა უფრო თბილია.

**სასაულომოქმედი პრეპარატი „დომენოლი“ და „გაგენოლი“ მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურები**

დომენტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმინურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალლობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიურად დაავადებულებს, ჰეპრანავს გაფანტული სკლეოროზს და შიდსს, შეულის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებიდან ჩირქვენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.  
**ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**